ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

„ბიძინა ივანიშვილი „ოცნებას" ეკაიფება"





გვ.4

კახა მიქაია: „ერთხელაც იქნება და ხალხი ხელისუფლებას სისულელეებს აღარ აპატიებს"

23 იანვრიდან

იორამ ჩადუნელი

საზღაური

ქართული დეტექტივი ტომი 3




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ოთხშაბათი, 24 იანვარი, 2018 №19 (7564) ფასი: 50 თეთრი

# ვინ არის ჩატაევის ხელშეწყობის ბრალდებით დაკავებული ანატოლი ბერძენიშვილი



გვ.2

## „ის ეკლესიებს აშენებდა და თურქეთში მასალებისთვის ჩადიოდა"

## მონაწილეობდა თუ არა გროზნოს მერი მუსლიმ ხუჩიევი აგვისტოს ომში





„ცხინვალში შემოსულ ჩეჩენთა რაზმს ლოჯისტიკით გროზნოს მერი უზრუნველყოფდა"

გვ.2

გიორგი გახარია: „ეს ადამიანი შავ სიაში არ არის შეყვანილი"



გვ.4

## „სააფთიაქო მაფიას ხელისუფლება მფარველობს"

თორნიკე შარაშენიძე: „წამლები კვირაში ერთხელ ძვირდება"



გვ.3

## გიორგი ლალიძე: „ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია კრიმინოგენურ ვითარებას კიდევ უფრო გააუარესებს"

### სამართალი

გვ.7

სოსო ოსორაულის მკვლელად ხელში ჩაგდების ფაქტზე საქართველოს მთავარ პროკურატურაში გამოძიება გრძელდება



სასამართლომ „ბახალა" დამნაშავედ ცნო და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა






უბედური შემთხვევა რუსთავში — მატარებელი მამაკაცს დაეჯახა

### ეკონომიკა

გვ.6



სავაჭრო ცენტრებს სავალდებულო დაზღვევის პროექტზე შენიშვნები აქვთ

„ინფლაცია მოსახლეობას მწვავედ დააწვა"



„შეუძლებელია, კონკურენციის ისე გეშინოდეს, რომ კომპანიის განვითარებაში ხელი შეგიშალოს"



**2** რა დაუჯდება ბიუჯეტს დაგროვებითი პენსიის ამოქმედება

**6** გიორგი ხანიშვილი: „2017 წელს მოსავლის განადგურება მხოლოდ აზიური ფაროსანას მავნებლობით არ იყო გამოწვეული"

**5** „მალე აფხაზეთზე კონტროლს სომხები დაამყარებენ"

**3** დავით დარჩიაშვილი: „თუ ევროკავშირის წევრობა გვინდა, განაცხადი უნდა გავაკეთოთ"

ISSN 1987-9385

# მონაწილეობდა თუ არა გროზნოს მერი მუსლიმ ხუჩიევი აგვისტოს ომში

## პაატა დავითაია: „ცხინვალში შემოსულ ჩეჩენთა რაზმს ლოჯისტიკით გროზნოს მერი უზრუნველყოფდა“

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოში გროზნოს მერი მუსლიმ ხუჩიევის გასაიდუმლოებულმა ვიზიტმა ბევრი კითხვა გააჩინა. მედიისა და პოლიტიკოსების დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა იმის დადგენა, რა მისიის შესასრულებლად იმყოფებოდა რამზან კადიროვის მარჯვენა ხელი საქართველოში.**

ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები კიდევ უფრო მეტ კითხვას აჩენს. ალბათ, არც ისაა შემთხვევითი, რომ ხუჩიევის საიდუმლო მისია პანკისში სიტუაციის გართულებას დაემთხვა.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა იმის შესახებ, რომ გროზნოს მერი აქტიურად თანამშრომლობს ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებასთან. ცხინვალის მერი მისი მიწვევით არაერთხელ ჩავიდა გროზნოში.

ჩვენი მკითხველისთვის ისიც



გიორგი გახარია: „ეს ადამიანი შავ სიაში არ არის შეყვანილი“



ცნობილია, რომ აგვისტოს ომში აქტიურად მონაწილეობდნენ კადიროვის მებრძოლები.

ყოფილი დეპუტატი პაატა დავითაია, რომელიც აგვისტოს ომის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე იყო, 2008 წელს იხსენებს და ამბობს, რომ ხუჩიევი იმ ჩეჩენი მებრძოლების ლოჯისტიკას უზრუნველყოფდა, რომლებიც პუტინის დავალებით საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ.

– ძალიან გაკვირვებული ვარ, როგორ მუშაობენ ქართული სპეცსამსახურები და როგორ მუშაობს ქართული სამართალდამცავი სტრუქტურა – მტერს, ხუჩიევს, საქართველოს ტერიტორიაზე უშვებს.

მინდა გავიხსენო ის მოვლენები, რომლებიც 2008 წელს მოხდა, როდესაც დროებით საპარლამენტო კომისიაზე ხდებოდა გარკვეული ქმედებების მოსმენა. მე, როგორც კომისიის თავმჯდომარეს, მქონდა ოპერატიული ინფორმაცია სამართალდამცავი ორგანოებიდან და სპეცსამსახურებიდან. ერთ-ერთი ინფორმაციის საფუძველზე ჩემთვის ცნობილი იყო, როდესაც მოხდა 58-ე არმიის სარდლის, გენერალ ხრულოვის დაჭრა, პუტინი ჩავიდა ჩრდილოეთ ოსეთში, მოიწვია თათბირი და გადაწყვეტილება მიღებული იყო, რომ შემოსულიყო ჩეჩენთა რაზმი, რომელიც პირადად ემორჩილებოდა კადიროვს. ხუჩიევი უზრუნველყოფდა მის ე.წ. ლოჯისტიკას, – აღნიშნა პაატა დავითაიამ.

როგორც ირკვევა, ქართველი სამართალდამცავები ხუჩიევის შავბნელი წარსულის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ.

შს მინისტრი გიორგი გახარია ამბობს, რომ მან ჟურნალისტებისგან გაიგო ხუჩიევის კავშირების შესახებ.

– ეს ინფორმაცია მესმის თქვენგან პირველად. ამ ინფორმაციას გადავამოწმებთ, ეს ადამიანი წლებია, არცერთ სიაში შეტანილი არ ყოფილა, ახლა კი არა, არასოდეს არ ყოფილა და, შესაბამისად, არ ვიცი, რა ფორმით, მაგრამ, როგორც ტურისტი, ალბათ, შემოვიდა და გავიდა, – განაცხადა გახარიამ.

გროზნოს მერის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით განცხადება იუსტიციის მინისტრმაც გააკეთა.

როგორც თეა წულუკიანმა საკითხის კომენტირებისას განმარტა, გროზნოს მერის გვარი სპეციალურ სიაში არ იყო შეტანილი, რომ მესაზღვრეებს ტერიტორიაზე არ შემოეშვათ.

წულუკიანს გროზნოს მერის სიაში არყოფნის გამო შეკითხვები ყოფილ ხელისუფლებასთან აქვს.

– როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ეს ადამიანი დღეისთვის არ იმყოფებოდა იმ სიაში, რომელიც აქვთ ხოლმე მესაზღვრეებს და ხელს უშლის ამა თუ იმ პირს, შემოვიდეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. თუ რატომ არ იმყოფებოდა, ამაზე, ალბათ, მე მექნებოდა პირადად კითხვები ყოფილ ხელისუფლებასთან, იმიტომ რომ 2008 წელს ისინი იყვნენ ხელისუფლებაში და სია მათ უნდა შეედგინათ, ხოლო ახლა უნდა იქნეს თუ არა ეს პირი ამგვარ სიაში შეტანილი, ამას შსს შეისწავლის და რეაგირება მოხდება, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში ყოფნისას გროზნოს მერს ქართველები იცავდნენ.

* * *

პროფესიით ჟურნალისტი მუსლიმ ხუჩიევი 1971 წელს არის დაბადებული. ის წლების განმავლობაში რუსეთის ტელერადიო კორპორაციაში კრიმინალს აშუქებდა, რის შემდეგაც ბიზნესში გადავიდა და რეკლამის მენეჯერად მუშაობდა.

2004 წელს ის ჩეჩნეთში დაბრუნდა და მაშინდელი პრეზიდენტის ალუ ალხანოვის გუნდში მუშაობდა პრესსამსახურის უფროსად, საიდანაც მალევე გადავიდა რამზან კადიროვის გუნდში.

მიწის კანონთან დაკავშირებული სკანდალის გამო მას კადიროვთან ურთიერთობა დაეძაბა. ამის მიუხედავად, ის კადიროვის გარემოცვაში დარჩა. ის, გროზნოს მერობის პარალელურად, კადიროვის ფონდის ვიცეპრეზიდენტიც იყო.

აღნიშნული ფონდი ჩეჩნეთის დიდი პროექტების მთავარი დაფინანსების წყაროა. სწორედ ამ ფონდის მეშვეობით აშენდა ხუჩიევის მერობისას გროზნოში ევროპაში ყველაზე დიდი მეჩეთი, კომპლექსი გროზნო სითი.

როგორც რუსულ მედიაში წერენ, ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსონაა კადიროვის გარემოცვაში. ჩვენი საიდუმლო სტუმარი ჩეჩნეთის საგარეო იმიჯზეა პასუხისმგებელი.

და, რაც ყველაზე საინტერესოა, ის ცხინვალის მერის ახლო მეგობარია. ალან კოჩიევი გროზნოს მერმა შარშან დიდი ზარ-ზეიმით მიიწვია თავისთან. იქ კოჩიევმა განაცხადა, რომ ჩეჩნები პირველები იყვნენ, რომლებიც აგვისტოს ომში დაეხმარნენ მძინარე ცხინვალს.

# ვინ არის ჩატაევის ხელშეწყობის ბრალდებით დაკავებული ანატოლი ბერძენიშვილი

## „ის ეკლესიებს აშენებდა და თურქეთში მასალებისთვის ჩადიოდა“

შორენა მარსაგიშვილი

**22 იანვარს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ახმედ ჩატაევის დახმარების ბრალდებით კიდევ ერთი პირი, ანატოლი ბერძენიშვილი, დააკავა.**

მას ბრალი გუშინ, 23 იანვარს, წარუდგინეს. დაკავებულის ადვოკატის თქმით, ბერძენიშვილი ბრალს არ აღიარებს და დუმილის უფლებას იყენებს.

ადვოკატი მაია სირაძე აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს ტერორიზმის საქმეზე დაკავებულ ხიზირ მარგოშვილთან მეგობრობა აკავშირებდა.

სირაძის თქმით, ბერძენიშვილი, საკუთარი საქმიანობიდან გამომდინარე, ხშირად დადიოდა თურქეთში:

– თურქეთში დადიოდა თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, აშენებდა ეკლესიებს და ხშირი შეხება ჰქონდა თურქეთთან მასალებთან დაკავშირებით. ის ხიზირ მარგოშვილთან ადასტურებს კავშირს, მეგობარი იყო და ბიზნესთან დაკავშირებით ხშირი ურთიერთობა ჰქონდა. ამ შემთხვევაში ტაძრების აშენებასთან დაკავშირებით არა, სხვა ბიზნესი ჰქონდათ, – აღნიშნა მაია სირაძემ.

ანატოლი ბერძენიშვილი წარმოშობით გურიიდან არის. როგორც მისი უფლებადამცველი ელდარ გვალია ამბობს, მისი დაცვის ქვეშ მყოფს დედა პოლონელი ჰყავს.

გურია ნიუსს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ბერძენიშვილი ჩოხატაურში ბოლოს 2010 წელს იმყოფებოდა. ის კარგად იცნობდა თამაზ ჭალალიძეს. რომელიც ასევე წარმოშობით ჩოხატაურიდან არის.

თამაზ ჭალალიძე ჩვენი მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი. ის ისლამური სახელმწიფოს რიგებში იბრძოდა. ჭალალიძე საქართველოს ტერაქტებით სოციალურ ქსელ ოდნოკლასნიკებით დაემუქრა.

ისლამურ სახელმწიფოში წასვლამდე ჭალალიძე კონსტანტინე გამსახურდიას პარტიის წევრი იყო და აქტიურად მონაწილეობდა 2009 წლის საპროტესტო აქციებში.

ადვოკატი გვალია ჭალალიძისა და ბერძენიშვილის ნაცნობობას უარყოფს.

– მსგავსი არაფერი მსმენია. ვინც გითხრათ, იმას ჰკითხეთ. საქართველოში ბერძენიშვილი ეკლესიებს აშენებდა, – ამბობს გვალია.

გურია ნიუსმა ოფიციალური დოკუმენტებით გაარკვია, რომ 42 წლის ანატოლი ბერძენიშვილი რამდენიმე წლის განმავლობაში ინდმეწარმე იყო.



ბიზნესრეესტრის მონაცემებით, ის 2005 წლის 28 დეკემბერს დარეგისტრირდა. 2014 წლის დეკემბერში რეგისტრაცია გააუქმა.

ჟურნალისტებთან საუბარში ადვოკატი გვალია ამბობს, რომ ბერძენიშვილს ფული ჰქონდა, მაგრამ, იმდენი არა, რომ ტერორისტები დაეფინანსებინა.

პირველი რადიო ანატოლი ბერძენიშვილის მეგობარს, არქიტექტორ დავით სვანიძეს დაუკავშირდა. მან განაცხადა, რომ თავის მეგობარზე გავრცელებული ინფორმაციით შოკირებულია:

– არ ვიცი, რა უნდა გითხრათ და რა ხდება. დიდი ხანია ვიცნობ ამ ადამიანს. დღეს დამირეკეს და გავიგე ეგ ამბავი. შოკირებული ვარ. ჩემთვის ძალიან უცნობი თემაა. არანაირი საფუძველი არ მაქვს პირადად მე, ვიფიქრო, რომ ის ამ საქმეშია გარეული. ვიღაცას რომ იცნობდა პანკისში, შეიძლება ვიცი, მაგრამ ვის კონკრეტულად ან რაღაც ეგეთი, არაფერი ვიცი, თუმცა ეგრე შეიძლება ყველა ყველას იცნობდეს, მაგრამ რა ურთიერთობებში იყო, არ ვიცი, ნამდვილად წარმოუდგენელი ამბავია. არც იმის შესახებ მსმენია, რომ ის თურქეთში დადიოდა. მშენებლობაზე რომ იყო, ვიცი. ვიცი, რომ მაზიარებელი კაცი იყო, დანარჩენი არაფერი ვიცი, შოკში ვარ, – აცხადებს სვანიძე.

# რა დაუჯდება ბიუჯეტს დაგროვებითი პენსიის ამოქმედება

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონპროექტი უკვე პარლამენტშია ინიცირებული.

საკანონმდებლო პაკეტის ავტორია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ინიციატორი კი – მთავრობა.

როგორც კანონპროექტშია აღნიშნული, სისტემის ამოქმედება გავლენას მოახდენს როგორც ბიუჯეტის საშემოსავლო, ისე ხარჯვით ნაწილზე. კერძოდ, სისტემის ამოქმედების შედეგად, ბიუჯეტში სრულ წელზე ჯამურად, დაახლოებით 40 მილიონ ლარამდე ნაკლები თანხის მობილიზება მოხდება.

– მონაწილის კონტრიბუციის გაანგარიშება ხდება დარიცხული ხელფასიდან და შემდეგ მოხდება საშემოსავლოს 20%-ის გადახდა, აქედან გამომდინარე ბიუჯეტს საშემოსავლო დასაბეგრი ბაზის შემცირების გამო სრულ წელზე გათვლით, ბიუჯეტში დაახლოებით 17 მლნ ლარამდე ნაკლები თანხა მობილიზდება. ასევე, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ დამსაქმებელს თავისი კონტრიბუციის 2% შეუძლია გამოქვითოს შემოსავლიდან და შეამციროს მოგების დასაბეგრი ბაზა, დაახლოებით ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს შეამცირებს 23 მლნ ლარამდე. ჯამურად სრულ წელზე დაახლოებით 40 მლნ ლარამდე ნაკლებით მობილიზდება ბიუჯეტში, – ვკითხულობთ კანონპროექტში.

ამასთან, პროექტის თანახმად, სისტემის ამომედება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზეც.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით დარჩიაშვილი: „თუ ევროკავშირის წევრობა გვინდა, განაცხადი უნდა გავაკეთოთ“

ნათია ხურცილავა

**„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს იმაზე, თუ რა შემთხვევაში შეიძლება, ევროკავშირთან ე.წ. შეჩერების მექანიზმი ამოქმედდეს.**

***– ბატონო დავით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების დიპლომატები ევროკომისიის მიერ წარდგენილ პირველ ანგარიშს ე.წ. შეჩერების მექანიზმის ფარგლებში განიხილავენ. რამდენად რეალურია საფრთხე, რომ უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, რომელიც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო, შეჩერდეს?***

– უახლოეს პერიოდში რეალურად არა მგონია, ეს საფრთხე გვემუქრებოდეს. თუმცა, აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ევროკავშირის ნებაა ამ ყველაფრის დაშვება და მისივე ნებით შეიძლება, ყველაფერი შეიცვალოს, ან შეიძლება ევროკავშირმა ტრანსფორმაცია განიცადოს და იქ იყოს ეს ჩადებული, მაგრამ რეალურად რა რისკიც არის ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებით, ეს არის ან საქართველოდან მოქალაქეების უკონტროლო მოძრაობა, ან საქართველო იყოს გამოყენებული მესამე მხარის მიერ.

***– უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ დერეფნად იყოს გამოყენებული?***

– დიახ. ჩვენი სასაზღვრო-გამშვები პუნქტები შეიძლება სათანადოდ ვერ მუშაობდნენ და ეს გამოიყენონ უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა და საქართველოდან შეაღწიონ ევროკავშირის ტერიტორიაზე. ეს სერიოზული რისკია.

მეორე პრობლემა შეიძლება სამართალს უკავშირდებოდეს. სასამართლო სისტემა შეიძლება მეტ-ნაკლებად კრიტიკას იმსახურებდეს, რამაც ბოლო პერიოდში მოიმატა, ესეც შეიძლება რისკფაქტორი იყოს, რომ ევროკავშირს ჩვენ მიმართ დამოკიდებულება შეეცვალოს.

***– დანაშაულის მაღალი მაჩვენებელიც შეიძლება რისკფაქტორი იყოს?***

– დანაშაულიც შეიძლება ასევე იყოს ერთ-ერთი რისკფაქტორი, ასევე, რაზეც გესაუბრეთ, სამართლიანი სასამართლოს უფლება. არასამართლიანი სასამართლო ქმნის რისკებს, რომ ბევრ ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს თავშესაფრის ძიების სურვილი და ამ მოთხოვნით მიმართოს ევროკავშირის რომელიმე ქვეყანას. ეს შეიძლება ევროკავშირს რეალურად აწუხებდეს.

***– თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი, სამწუხაროდ, როგორც ცნობილია, გაზრდილია. თქვენ რას უკავშირებთ ამ ციფრის გაზრდას?***

– შეიძლება ეს უკავშირდებოდეს ადამიანის წმინდა ეკონომიკურ მდგომარეობას, მიჭირს და შეიძლება თქვენთან ვიყო?! თუმცა, შეიძლება პოლიტიკურიც იყოს. როდესაც არასამართლიან სასამართლოზე ვლაპარაკობ, ეს უკვე პოლიტიკის ნაწილია. ესეც, რა თქმა უნდა, ქვეყნის მიმართ კრიტიკულ-სკეპტიკურ დამოკიდებულებას ქმნის ევროკავშირში. ეს ის საკითხებია, რომლებსაც მართლაც ადევნებენ თვალყურს და ისე არ არის, რომ არავის აინტერესებდეს. პირიქით, ძალიან აინტერესებთ და გვაკვირდებიან.

***– რამდენად რეალური შეიძლება იყოს ამ მოცემულობით ე.წ. შეჩერების მექანიზმის ამოქმედება?***

– კონკრეტული ფორმულა არ არსებობს, მაგალითად, რამდენი კაცი მოითხოვს თავშესაფარს და შემდეგ უკვე შეგვიჩერონ უვიზოდ მიმოსვლა. ასეთი ჩანაწერი ბუნებაში არ არსებობს. ეს უფრო პოლიტიკური პროცესია, პოლიტიკის ნაწილია. თუკი ევროკავშირში, გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში საქართველოს მიმართ დამოკიდებულება შეიცვლება სხვადასხვა მიზეზის გამო, ძირითადად იმ მიზეზების გამო, რომლებზეც გესაუბრეთ, მაშინ, ცხადია, დამოკიდებულებაც სხვა იქნება. მაგალითად, ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაციები, როგორიც „ფრიდომ ჰაუსია“, რომელიც ანგარიშებს ადგენს და რომლებიც პირდაპირ ადამინის უფლებებზე მუშაობენ, ასეთი ანგარიშები, თუ, რასაკვირველია, უარყოფითი იქნება, ამ რისკებს ზრდის. ამ



დროს ხელისუფლების პასუხისმგებლობა გარდაუვალია.

***– როდესაც უცხო ქვეყანაში თავშესაფრის მაძიებელი ხდება ადამიანი?***

– დიახ. ევროკავშირის ხელისუფლების წარმომადგენლებს საქმე ხელისუფლებასთან აქვთ და არა მოქალაქეებთან ან არასამთავრობო სექტორთან, ან ეკლესიასთან.

***– ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებით განაცხადის გაკეთებაზე ადრე დისკუსია იყო, უნდა გავაკეთოთ ეს განაცხადი თუ არა. თქვენი პოზიცია როგორია?***

– თუკი ასეთი ნება არსებობს ქვეყნის მხრიდან, ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი განაცხადი უნდა გაკეთდეს, მერე კი ყველაფერი უნდა გაკეთდეს კონკრეტული მიმართულებით, კონკრეტულ სფეროებში საიმისოდ, რომ ეს განაცხადი სისრულეში მოვიდეს. განაცხადის გაკეთებას წინ არაფერი უდგას.

***– ხომ არ დავაფრთხობთ ამ განაცხადით ევროკავშირს?***

– რატომ დავაფრთხობთ?! ჩვენ ვითხოვთ უფრო მეტს ევროკავშირისგან და რისთვისაც არის მზად ის, იმას მოგვცემს. თუ გვინდა ევროკავშირის წევრობა, ეს განაცხადი უნდა გავაკეთოთ და ვიზრუნოთ მის სისრულეში მოსაყვანად.

***– ანუ ეს არ იქნება განაცხადი განაცხადისთვის? შიდა რეფორმების გზაზე დაგვეხმარება?***

– განაცხადი განაცხადისთვის და შემდეგ უკვე არაფრის კეთება დასაცინი იქნება ევროკავშირის მხრიდან. ეს ისეთ დასაცინ მდგომარეობაში ჩააგდებს ხელისუფლებას, რომ მეტი არ შეიძლება! ცხადია, ეს არ უნდა გავაკეთოთ, ასე დასაცინად არ უნდა გავიხადოთ თავი, მაგრამ განაცხადი და შემდეგ უკვე ადეკვატური ნაბიჯები, რეფორმები, ქვეყნის წინ წაყვანა იქნებოდა ევროკავშირისთვის იმის დანახვება, რომ ჩვენ ვიმსახურებთ, რომ ღირსები ვართ. რაც შეეხება იმ პოზიციას – გადავდოთ და მოვემზადოთ – ეს დამოკიდებულება მაფიქრებს.

***– რომ რა?***

– ეს არ არის მათთვის აქტუალური.

***– კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც თქვენი პოზიცია მაინტერესებს: უკრაინამ გვთხოვა, რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს მივერთებოდით. აქ უფრო მეტი სიფრთხილეა საჭირო თუ, პირიქით, მეტი მოკავშირეები უნდა ვეძებოთ და მხარი ავუბათ უკრაინას?***

– მე მომხრე ვარ, რომ საერთაშორისო მასშტაბით გამოცხადებულ სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ მივუერთდეთ, თუ ვართ ამ საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი და ნაწილი.

***– ექსპერტების ნაწილი ამბობს, რომ გამაღიზიანებელი ფაქტორი შეიძლება აღმოჩნდეს.***

– კრემლისთვის საერთოდ საქართველოს არსებობაა გამაღიზიანებელი. ყველა პოლიტიკოსი და ყველა ხელისუფლება, რომლებიც საქმით იზრუნებენ საქართველოს უფრო მეტი დამოუკიდებლობისთვის, დღევანდელი რუსეთისთვის გამაღიზიანებელი და მიუღებელი იქნება. თუ ამას უნდა გავუწიოთ ანგარიში, მაშინ გამოდის, რომ დამოუკიდებლობა ფორმალობად უნდა ვაქციოთ.

***– ამ მიმართულებით სანქციებს ვგულისხმობ, ჩვენი ნაბიჯები უფრო თამამი უნდა იყოს?***

– ჩვენი ნაბიჯები საერთაშორისო თანამეგობრობის ნაბიჯებისა და დამოკიდებულების ადეკვატური უნდა იყოს. ჩვენი არგუმენტი და საყრდენი საერთაშორისო სამართალში უნდა ვეძებოთ. მე არ მითქვამს, რომ მაინცდამაინც უფსკრულში უნდა გადავეშვათ და გადავიჩეხოთ. ჩვენი ორიენტირი ამ შემთხვევაში ევროკავშირი უნდა იყოს – რასაც აკეთებს ევროკავშირი, საერთაშორისო თანამეგობრობა, ჩვენც იმის ადეკვატურები უნდა ვიყოთ.

# გიორგი ლალიძე: „ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია კრიმინოგენურ ვითარებას კიდევ უფრო გააუარესებს“

გულიკო ბალაძე

**უფლებადამცველ გიორგი ლალიძის განცხადებით, მსუბუქი ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია ისედაც გაუარესებულ კრიმინოგენურ ვითარებას კიდევ უფრო გააუარესებს.**



– ბოლო პერიოდში ქვეყანაში კრიმინოგენური მდგომარეობა ძალიან გაუარესდა, მათ შორის, რეგიონებშიც. დღე ისე არ გავა, ვინმე არ მოკლან, ბანკი არ გაძარცვონ, ვინმე არ დააყაჩაღონ. კრიმინოგენური თვალსაზრისით დადებითი ძვრები ნამდვილად არ შეინიშნება. ამ ვითარებაში ერთი ხელის მოსმით მსუბუქი ნარკოტიკის დეკრიმინალიზაცია საფრთხის შემცველია ჩვენი ახალგაზრდობისა და, ზოგადად, ქართველი საზოგადოებისთვის, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ უფლებადამცველი გიორგი ლალიძე.

***– ბატონო გიორგი, რით ახსნით კრიმინალური მდგომარეობის გაუარესებას?***

– ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ნაწილობრივ განპირობებულია ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელი პირების უნიათობით. მათ არ აქვთ უნარი, ქვეყანაში კრიმინალის მოქმედება შეაჩერონ. ძალოვან უწყებებში ძალიან ბევრი პროფესიონალია, თუმცა პროფესიონალიზმის ნაკლებობაცაა. არასწორ დაგეგმვასა და მართვასთანაც გვაქვს საქმე. მოგეხსენებათ, ხორავას ქუჩაზე 51-ე და პირველი ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლეებს შორის დაპირისპირება ორი ახალგაზრდის მკვლელობით დამთავრდა. ახლახან გენერალი მოკლეს. ასეთი ფაქტები ისე, უბრალოდ არ ხდება, ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფებიც მოქმედებენ, რომლებსაც ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები სათანადოდ ვერ ებრძვიან.

***– ძალიან ხშირად ამბობენ იმას, თითქოს ახლა უფრო მეტად შუქდება კრიმინალის თაობაზე ინფორმაციები, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს. ამდენად, კრიმინალის ზრდა თვალში მოსახვედრი იმიტომ არის.***

– მედიას პირს ვერავინ ამოუკერავს. მედია აშუქებს იმას, რასაც რეალურად ხედავს. ვერ დავეთანხმები იმ აზრს, თითქოს უფრო მეტად შუქდება კრიმინალური ფაქტები. წინა ხელისუფლების დროსაც იყო აშკარად გახშირებული კრიმინალური შემთხვევები, მაგრამ სტატისტიკას შევხედოთ, კრიმინალი ახლა უფრო მეტად გააქტიურდა. თბილისი არ არის უსაფრთხო ქალაქი. ადამიანებს ქუჩაში მანქანა ვერ დაუყენებიათ. ძარცვა გახშირებულია, ადამიანებს ძარცვავენ, როცა ქუჩაში გადაადგილდებიან.

***– ახალი მინისტრის დანიშვნამ საზოგადოებას იმედი არ გაუჩინა კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით?***

– გახარია შს მინისტრად რომ დაინიშნა, მან საპოლიციო რეიდები ჩაატარა და ამოიღო იარაღი, მათ შორის, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღები, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

***– რატომ არიან ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელი პირები უნიათონი? შს ორგანოებში ძირითადად ძველი კადრებია. შექმნილი ვითარება იმითაც ხომ არ არის განპირობებული, რადგან წინა რეჟიმის ქმედებების გამო ახალი ხელისუფლების პირობებში საზოგადოება უფრო ჰუმანური პოლიტიკის გატარებას მოითხოვდა, ამიტომ ამან გამოიწვია ძველი კადრების დემორალიზაცია?***

– ძველი ხელისუფლების კადრები ძალოვან სტრუქტურებში დღესაც არის, თუმცა შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ამ თვალსაზრისით ისინი რაღაც ამინდს ქმნიდნენ. ვფიქრობ, უფრო სხვა რაღაცასთან გვაქვს საქმე. ჩვენდა სამწუხაროდ, როცა „ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, ფართომასშტაბიანი ამნისტია გამოაცხადა.

***– მონაცემები გაქვთ, ამნისტიამ კონკრეტულად რა გავლენა მოახდინა?***

– ფართომასშტაბიანი ამნისტიის შედეგად უამრავი მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირი აღმოჩნდა ქუჩაში, მათ შორის, გათავისუფლდნენ ის პირები, რომლებსაც ჩადენილი ჰქონდათ დანაშაული საქართველოს სახელმწიფოს წეს-წყობილების წინააღმდეგ.

***– ვის გულისხმობთ?***

– ჩატაევს, ჩახალიანსა და სხვებს, რითაც ქვეყნის უსაფრთხოებას საფრთხე შეექმნა. ჩატაევის შემთხვევაში, რა შედეგი მივიღეთ, იცით. საერთო ჯამში, ამნისტიის აქტმა ქვეყანაში კრიმინალური მდგომარეობა ირიბად გააუარესა. ამას ემატება ისიც, რომ დღეს ძალოვანი უწყება ისე კარგად ვერ მუშაობს, როგორც უნდა მუშაობდეს, თუმცა იქ ძალიან ბევრი პროფესიონალია. უფრო მეტი მუშაობაა საჭირო იმ ვითარების გამო, რომელიც გვაქვს დღეს კრიმინოგენური მდგომარეობის თვალსაზრისით. ქვეყნის შიდა უსაფრთხოების ნიშნული ძალიან დაბალ დონეზეა.

***– სხვათა შორის, რომელიღაც საერთაშორისო ორგანიზაციამ საქართველო უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეიყვანა.***

– ჩვენი დიდი სურვილია, საქართველო უსაფრთხო ქვეყანა იყოს, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციები გამოკვლევებს დარღვევებით აკეთებენ. ქვეყანაში კრიმინოგენური მდგომარეობის ყველაზე კარგი შემფასებელი ქართველი საზოგადოებაა.

თბილისის ქუჩებში ტერორისტები გადაადგილდებოდნენ, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ამჩნევდნენ საქართველოს უსაფრთხოების სამსახურები. მოგეხსენებათ, ეს რამხელა საფრთხის შემცველი იყო ქართველი საზოგადოებისთვის. სამწუხაროდ, დღეს არაფრისაგან დაზღვეული არ ვართ, რადგან ქვეყნის უსაფრთხოების სისტემა სუსტად მუშაობს.

***– ხორავას ქუჩაზე მომხდართან დაკავშირებით გახარიამ განაცხადა, რომ გამოძიებასთან თითქმის არავინ ითანამშრომლა.***

– სამწუხაროდ, ქურდული მენტალიტეტია ფეხმოკიდებული.

***– წინა რეჟიმმა თითქოსდა გაანეიტრალა ქურდულად მოაზროვნე ხალხი, მაგრამ გაირკვა, რომ ქურდული მენტალიტეტის დამარცხება ადვილი არ ყოფილა. პრობლემა ჩვენი საზოგადოების მენტალიტეტში ხომ არ არის?***

– ბუნებრივია, ჩვენს საზოგადოებაში არის პრობლემა. ჩვენი საზოგადოების მენტალიტეტი ამ თვალსაზრისით, სამწუხაროდ, არ არის ჯანსაღი, მაგრამ სახელმწიფოც არ ატარებს აღმზრდელობით მუშაობას. მინდა ცალსახად დავაფიქსირო ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება მსუბუქი ნარკოტიკის მოხმარების დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით.

***– მსუბუქი ნარკოტიკის დეკრიმინალიზაცია კრიმინოგენურ ვითარებაზე მოქმედებს?***

– დიახ, მსუბუქი ნარკოტიკის დეკრიმინალიზაცია ქვეყანაში კრიმინოგენურ ვითარებას კიდევ უფრო გააუარესებს, მით უფრო, რომ სახელმწიფოს არ აქვს შესაბამისი სარეაბილიტაციო დაწესებულებები, შესაბამისი პროგრამა, თუ როგორ აპირებს ამ ადამიანების გამოჯანმრთელებას. ამ პირობებში ერთი ხელის მოსმით მსუბუქი ნარკოტიკის დეკრიმინალიზაცია საფრთხის შემცველია ჩვენი ახალგაზრდობისა და, ზოგადად, ქართველი საზოგადოებისთვის.

## რა დაუჯდება ბიუჯეტს დაგროვებითი პენსიის ამოქმედება

დასაწყისი მე-2 გვერდზე

კერძოდ, როგორც პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, სისტემის ამოქმედების შემდეგ სრულ წელზე საბიუჯეტო ხარჯი 150 მილიონ ლარამდე იქნება.

– სისტემის ამოქმედების შემდგომ სრულ წელზე საბიუჯეტო ხარჯი შეადგენს 150 მლნ ლარამდე. საბიუჯეტო ხარჯი 2018 წელს წარმოადგენს დაახლოებით 90 მლნ ლარს, რადგან სისტემა ჩაირთვება 2018 წლის მესამე კვარტლიდან. ასევე, კანონის პროექტით განსაზღვრულია საპენსიო სააგენტოს დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სააგენტოს ამოქმედებიდან პირველი სამი წელი. პირველი წლის სააგენტოს ხარჯი დაახლოებით შეადგენს 5 მლნ ლარს, საიდანაც ძირითადად სახელფასო ხარჯს წარმოადგენს, რადგან საინვესტიციო საბჭოს წევრები იქნებიან საერთაშორისო დონის მაღალკვალიფიციური კადრები, – ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

პროექტის პლენარულ სხდომაზე განხილვის საბოლოო სავარაუდო თარიღი მიმდინარე წლის 9 მარტია.



შეგახსენებთ, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემის ამოქმედება 2018 წლის მე-3 კვარტლიდან იგეგმება. სისტემის მიხედვით, დასაქმებული, დამსაქმებელი და სახელმწიფო ვალდებულნი იქნებიან, საპენსიო ფონდში დასაქმებულის დაუბეგრავი ხელფასის 2%-2% შეიტანონ.

# „ბიძინა ივანიშვილი „ოცნებას“ ეკაიფება“



შორენა მარსაგიშვილი

**მმართველი გუნდის წევრებს უცნაური განცხადებები დასჩემდათ. გასულ კვირას „ქართული ოცნების" ორმა დეპუტატმა ისეთი რამეები თქვეს, ყველაფრის გამპრავებელი მეოცნებეებიც კი მათ ლანძღვა-გინებაში არიან. ისნის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით ჭიჭინაძემ გლეხებს გაუნათლებლები უძახა, დმანისის მაჟორიტარმა კახა ოქრიაშვილმა კი იმის გამო გამოთქვა უკმაყოფილება, რომ ხალხს 10-ლარიანი წამალი ძვირი ეჩვენება.**

„დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი კახა მიქაია ამბობს, რომ სულელური განცხადებების გაკეთებაზე „ოცნების“ წევრებს მწვანე აქვთ ანთებული. მისი აზრით, ხალხს ეს ყველაფერი ყელში ამოუვა და „ოცნება“ საკადრის პასუხს მიიღებს.

ვინ აძლევს მათ ამის ნებას, ვისზე და რატომ კაიფობს ბიძინა ივანიშვილი, სადამდე გაგრძელდება მისი გართობა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ კახა მიქაია ესაუბრება.



## კახა მიქაია: „ერთხელაც იქნება და ხალხი ხელისუფლებას სისულელეებს აღარ აპატიებს“

***– ბატონო კახა, წინა კვირას მმართველი გუნდის წევრებმა უცნაური განცხადებებით გაგვანებივრეს. ერთმა დეპუტატმა გლეხებს განათლება დაუწუნა, მეორემ აღნიშნა რომ 10-ლარიანი წამალი იმას ეჩვენება ძვირი, ვისაც დაბალი შემოსავალი აქვსო. ამას საზოგადოების დიდი აღშფოთება მოჰყვა. თქვენ რას იტყვით ამაზე?***

– ცხადია, მეც აღვშფოთდი, მაგრამ სიმართლე თუ გინდათ, ამათგან ეს „სიბრძნეები“ არ გამკვირვებია. არ გამკვირვებია, მაგრამ მიმაჩნია, რომ პასუხი მაინც უნდა გავცე.

მაშ ასე, დეპუტატმა დავით ჭიჭინაძემ განაცხადა, რომ „გლეხს სწავლა რომ უყვარდეს, ის გლეხი არ იქნებოდა“. მივმართავ ჩემს ძვირფას გლეხებს, დაუჯერეთ რა, თავადიშვილ ჭიჭინაძეს გლეხებო და შეიყვარეთ სწავლა, თორემ დარჩებით გლეხებად და სანამ ცხოვრებაში საკუთარ ადგილს მიაგნებდეთ, შეიძლება ფეხებიც გაფშიკოთ.

ხომ ხედავთ, თავის დროზე როგორ გაითვალისწინეს თავადიშვილ ჭიჭინაძის რჩევა ჭორვილელმა, სამტრედიელმა და კოკელმა გლეხებმა და კიდევაც იპოვეს თავისი ადგილი ცხოვრებაში...

ასეა ძმაო. ხომ გახსოვთ პროლეტარიატის ბელადმა თავად ჭიჭინაძესთან ერთად რა გვიანდერძა -სწავლა სწავლა და სწავლა! გლეხებმაც ისწავლეს და გახდნენ თავადიშვილები. დააკვირდით, რამდენი ნასწავლი გლეხია დღეს პარლამენტში ან მთავრობაში. თანაც, როგორი ნასწავლი გლეხები – თავად ამერიკელები რომ სწავლობენ მათგან ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას – აბააა?!

***– რას სწავლობენ ამერიკელები მათგან?***

– არ იცით? გასულ წელს თავადიშვილმა ჭიჭინაძემ დაამადლა გლეხუჭა ამერიკელებს – ჩვენ რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამა არ დაგვეწერა, რა გეშველებოდათ, თქვე კეთილებაფეთქებულებოო.

ისევ ჩვენს გლეხებს მივმართავ, დაიკაპიწეთ ახლა ხელები და ისწავლეთ ფაროსანასთან ბრძოლა და ფაროსანასავით გამრავლდით ნასწავლო გლეხებო და ამ სწავლაში კარგი მანერებიც თუ დაამხეცეთ, 2018 წლის არჩევნებში შეიძლება პრეზიდენტობასაც გამოჰკრას ხელი რომელიმე თქვენგანმა.

***– იმედია, გაითვალისწინებენ გლეხები თქვენს რჩევას, მაგრამ აი წამლების სიძვირე როგორ არ შეიმჩნიოს საზოგადოებამ. დეპუტატი ოქრიაშვილი ამბობს, რომ საქართველოში წამლები იაფია და იმათ ეძვირებათ, ვისაც დაბალი შემოსავალი აქვთო.***

– მართალია ოქრიაშვილი, ვის რა გონია და ვის რა. გახსოვთ ალბათ, ზაზა ხუციშვილსაც როგორ ეგონა, ლარის კურსის ვარდნის მიუხედავად, დოლარის ლარებში გადახურდავების შედეგად ბევრი ლარი რომ რჩებოდა და გახარებული იყო კაცი. ამ შემთხვევაშიც თითქმის იგივე „პრობლემის“ წინაშე ვართ, თუ ოქრიაშვილისთანა შემოსავალი გაქვს, მაშინ 10 ლარი რა ფულია, მაგრამ თუ არ გაქვს?!

მინდა მივმართო დეპუტატს, უმრავლესობას არა აქვს ფული ჩემო კახაბერ და ამიტომ ჰგონია, რომ 10 ლარი დიდი ფულია... თუმცა, მერე რა?!

მთავარია, შენნაირებს როგორ გგონიათ, რადგან შენნაირები არიან დღეს „ცვეტში,“ აბა დაბალშემოსავლიანებს რა ჰგონიათ, ნაკლებად საინტერესოა, ასე რომ, ეგონოთ დაბალშემოსავლიანებს, რომ ათი ლარი ფულია და იყვნენ თავისთვის, რას ერჩი?!...

ოპტიკური ტყუილივითააო ბრძანებს ოქრიაშვილი, ჩვენთან მედიკამენტები ძვირი არა, იაფიაო, აქაც ოპტიკურად მართალია ეს კაცი და, საერთოდ, ცხოვრებაში ოპტიკაა მთავარი...

მოდი, ახლა კახაბერ, შენზე ბევრად მაღალშემოსავლიან კაცს ვკითხოთ, არის თუ არა 10-ლარიანი მედიკამენტი ძვირი? მიმიხვდით, ალბათ, ვისზე ვსაუბრობ!

***– ივანიშვილს გულისხმობთ?***

– მას ვგულისხმობ და იმ კაცის სავარაუდო პასუხი ამ კითხვაზე ოქრიაშვილისთანა მაღალშემოსავლიანებისთვის მიმინდვია.

ისევ დეპუტატს მინდა მივმართო და ვუთხრა, „იტოგში,“ ჩემო კახაბერ, ბანკირების საქართველოში ძვირად ფასობს სოლიდარობა, თანაგრძნობა, სინანული, უანგარობა და ასეთი რაღაცები, თორემ მაღალტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებულ პეესპე-ს 10-ლარიან მედიკამენტებს როგორმე აუვა კაცი, ამიტომ ოპტიკურ ტყუილში რომ არ დავრჩეთ, იქ, შენთან, პარლამენტში, შენს მაღალშემოსავლიან მეგობრებს უთხარი (როგორც ერთ დროს დაარწმუნე 2024 წლამდე არჩევნების პროპორციულ სისტემაზე გადაუსვლელობის აუცილებლობაში), გადასახადები შეამცირონ, პრემიები და დანამატები მოიკლონ, სამუშაო ადგილები შექმნან და ამით დაბალშემოსავლიანებს შემოსავალი მცირედით მაინც გაუდიდონ, შენი აფთიაქის „დაბალფასიანი“ მედიკამენტების შესაძენად.

თანაც, შეახსენე, უმრავლესობაში მყოფო მაღალშემოსავლიანებო, ხომ იცით, აქ, ამ სკამებზე, გარეთ, უმრავლესობაში დარჩენილი დაბალშემოსავლიანების წყალობით ვსხედვართქო.

***– ამ დაბალშემოსავლიანების აზრი მათ საერთოდ არ აინტერესებთ და ამიტომაც მოუხშირეს ასეთ განცხადებებს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სულელურ განცხადებებს ხალხის გასაღიზიანებლად შეგნებულად აკეთებენ.***

– დაბალშემოსავლიანების აზრი არ აინტერესებთ, რაც შეეხება სისულელეების ლაპარაკს, ასეთ განცხადებებს იმიტომ აკეთებენ, რომ სულელები არიან. სულელი ჭკვიანურ განცხადებას ვერ გააკეთებს.

***– კარგით, ვთქვათ, ისინი ვერ აცნობიერებენ, რასაც ამბობენ, მაგრამ გარშემომყოფები რატომ არ აჩუმებენ?***

– ვინ უნდა გააჩუმოს? ეგენიც მაგათნაირი სულელები არიან და ეს განცხადებები დიდ სიბრძნედ ეჩვენებათ. მთელ ამხელა „ოცნებაში“ მარტო ერთი კაცია ჭკვიანი, რომელსაც ამათი გაჩერება შეუძლია.

***– ვინაა ეს ჭკვიანი?***

– ვინ იქნება? ბიძინა ივანიშვილი. მარტო მაგას მოეკითხება იქ ჭკუა.

***– ჭკუა თუ მოეკითხება და ამათი გაჩერებაც შეუძლია, ვერ გააჩერებს?***

– რატომ უნდა გააჩეროს. სულელების გარემოცვაშია და ამათზე კაიფობს. დიახ, ბიძინა ივანიშვილი „ოცნებას“ ეკაიფება. ამათ ჰგონიათ, რომ რაკი ის კაცი ხმას არ იღებს, მოსწონს მათი განცხადებები, სისულელეებს სისულელეებზე ამბობენ. ერთხელაც იქნება, ხალხს ეს სისულელეები ყელში ამოუვა და ხელისუფლებას სათანადო პასუხს გასცემს.

# „სააფთიაქო მაფიას ხელისუფლება მფარველობს“

## თორნიკე შარაშენიძე: „წამლები კვირაში ერთხელ ძვირდება“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის" კითხვებს თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

***– ბატონო თორნიკე, კახა ოქრიაშვილის განცხადებებმა 10-ლარიან მედიკამენტებთან დაკავშირებით მოსახლეობის დიდი აღშფოთება გამოიწვია. ამ თემას თქვენც გამოეხმაურეთ და აცხადებთ, რომ ამ ქვეყანას სააფთიაქო-სამედიცინო მაფია ღუპავსო.***



***რას გულისხმობთ? რა ხდება სააფთიაქო-სამედიცინო ქსელში?***

– აშკარაა, სახეზე არის გარიგება სადაზღვევო კომპანიებსა და აფთიაქებს შორის, რომ პაციენტებს გამოუწერონ რაც შეიძლება მეტი წამალი. ამდენ წამალს, არ მგონია, რომ მსოფლიოში ვინმე მოიხმარდეს. ყოველთვის, როცა აფთიაქში შევდივარ, ჩემ წინ დგანან პენსიონერები და თითოეულს გამოწერილი აქვს 9-10 დასახელების მედიკამენტი. როგორ შეიძლება 9-10 წამალს გაუძლოს ნორმალურმა ორგანიზმმა?!

***– რისი თქმა გინდათ, რომ ესეც ერთგვარი ბიზნესია?***

– რა თქმა უნდა! ამაში დარწმუნებული ვარ, რომ ბიზნესია. საკუთარ თავზე გამომიცდია არასწორი დიაგნოზი და ტონობით გამოწერილი მედიკამენტი. ამას ემატება ისიც, რომ წამლების დიდი რაოდენობა არის აბსოლუტურად უხარისხო, გაურკვეველი წარმოშობის მედიკამენტები. ფასებზე ხომ ლაპარაკიც აღარ არის. უსაშველოდ ძვირია ყველაფერი. ამერიკაში ნებისმიერი წამალი ღირს 10 დოლარი. უნდა ნახოთ, რა ზომის პაკეტებია და რა რაოდენობის. ხარისხზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ამას ეჭვქვეშ ვერავინ დააყენებს! იქ ძალიან მკაცრი კონტროლია ხარისხის. ვიღაცამ რომ აიღოს და უბრალოდ წამოიღოს მარტო ამერიკული წამლები, პრობლემის გადაჭრის მარტივ ხერხს ვამბობ, მარტო ამერიკული, რომელიც იქნება ძალიან იაფი და ხარისხიანი, ამით პრობლემაც მოიხსნება.

***– ამას დაუშვებს ქართული სააფთიაქო ქსელი, ამით ხომ მთელი ეს ბიზნესი ჩაიძირება?***

– რა თქმა უნდა, ჩაიძირება. ამას ვინ დაუშვებს. ახლა ეს ბიზნესმენები, რომლებიც ყოველთვის პარლამენტში არიან მომსხდრები მაჟორიტარებად და, ბუნებრივია, მაჟორიტარის ფუნქცია რაც არის, ჩვენ კარგად ვიცით...

***– ყველა ხელისუფლების დროინდელი მაჟორიტარები...***

– რა თქმა უნდა, ყველა მთავრობას მორგებული მაჟორიტარები. მოდის ახალი მთავრობა, მერე მის გუნდში აღმოჩნდებიან ხოლმე უცებ და წინა მთავრობას ლანძღავენ, სისხლიანი რეჟიმები და ასე შემდეგ. ეს არის მახინჯი სისტემა, რომელიც აწყობს მთავრობასაც და ბიზნესს, მით უმეტეს.

***– საუბარია, რომ ყოველ კვირას ახალ-ახალი ფასი ხვდება აფთიაქში შესულ მომხმარებელს.***

– გეთანხმებით, კვირაში ერთხელ ძვირდება წამლები. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ეს უშუალოდ ჩვენს ჯანმრთელობას ურტყამს. პირდაპირ ჩვენს ჯანმრთელობას. მაგალითად, კაცი აიტანს თუ ბენზინის ფასი მოიმატებს, ბოლოსდაბოლოს, არ ჩაასხამს საწვავს და ფეხით გაივლის. მედიკამენტი რომ ძვირდება, ეს ჯიბესაც ურტყამს და ჯანმრთელობასაც. ორივეს ერთად აკეთებს. ჯიბეშიც გიძვრება და ჯანმრთელობასაც გიფუჭებს.

***– ფიქრობთ, რომ ხელისუფლება მფარველობს სააფთიაქო ბიზნესს?***

– რა თქმა უნდა, სჭირდება ხელისუფლებას ამ ბიზნესის სიძლიერე, თავისი პოლიტიკური კამპანია ხომ უნდა დააფინანსებინოს. ეს, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვეულებრივი მოდელია, პოსტსაბჭოთა მოდელი! ხელისუფლება გარიგებულია ბიზნესთან – ფული მოიტანე და ხელს არ გახლებ. ფულს საიდან მოიტან, არ მაინტერესებს. სამწუხაროდ, მივიდა იქამდე, რომ ჩვენი ჯანმრთელობის ხარჯზე მოაქვს ფული.

***– საუბარია, რომ საკმაოდ დაბალი ხარისხის მედიკამენტები იყიდება. ასეა?***

– სწორედ ამაშია საქმე! აბა ერთი შეამოწმებინონ კომპეტენტურ, სანდო ლაბორატორიას, რამდენად ხარისხიანია, რაც აქ შემოდის. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან დიდი ნაწილი იქნება მავნებელი.

***– გამოსავალს რაში ხედავთ?***

– გამოსავალი არის ის, რომ ხელისუფლებამ უნდა თქვას უარი ამ მახინჯ გარიგებაზე! მონოპოლია უნდა მოისპოს და უნდა მიეცეს საშუალება წვრილ მეწარმეებს, შემოიტანონ იაფი და ხარისხიანი მედიკამენტები! ისეთი ხარისხიანი, როგორიც იყიდება ევროპის და ამერიკის ბაზრებზე, რომლის ხარისხიც იქნება შემოწმებული.

***– თქვენ გაქვთ ინიციატივა, რომ ამერიკული მედიკამენტი შემოვიდეს ჩვენს ბაზარზე და ეს მოსახლეობას დიდ შეღავათს მისცემს?***

– რა თქმა უნდა, მისცემს, მაგრამ ამაზე ვინ წავა?! ამერიკაში არსებობს ერთი სააფთიაქო ქსელი ჯი-ვი-ესი, აქ რომ გაიხსნას ჯი-ვი-ესის ერთი ფილიალი, დარწმუნებული ვარ, ავტომატურად ჩაძირავს მთელ სააფთიაქო ქსელს. აბსოლუტურად ყველას და აბსოლუტურად სამართლიანადაც, იმიტომ, რომ იქნება იაფი და ხარისხიანი. უზარმაზარი პაკეტები აქვთ და უმაღლესი დონის ხარისხი. იმიტომ, რომ იქ ძალიან მკაცრად კონტროლდება ხარისხი.

***– ჩვენთან რა ხდება ამ კუთხით? დაბალია კონტროლი?***

– ჩვენთან ვინ რას ამოწმებს?! სკანდალი იყო ამ ცოტა ხნის წინ, რომ ერთ-ერთი ვაქცინა აღმოჩნდა უხარისხო. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ და მხოლოდ მცირე ნაწილია იმ რეალობის, რომელშიც ჩვენ ვართ. აბა ერთი შეამოწმონ, აფთიაქებში რა ხდება?! მაგრამ შემოწმების საშუალებაც რომ არ აქვთ?! გვაქვს შესაბამისი ლაბორატორია, რომ შემოწმდეს აფთიაქები, რა წარმომავლობის მედიკამენტები იყიდება იქ?! ევროკავშირში შესვლაზე ვლაპარაკობთ და ევროკავშირში მსგავსი სიტუაცია არსად არ იქნება და ვერც იქნება. იქ დაუშვებელია მავნებელი მედიკამენტის გაყიდვა, რომელიც სათანადოთ არ არის შემოწმებული.

***– ეს არის სააფთიაქო ქსელის მონოპოლია, რომელსაც არც ერთი ხელისუფლება განა ვერ, არ უპირისპირდება?***

– ასე გამოდის. ძალიან მარტივად ჩანს გარედან, მომხმარებლის თვალით. სადაც ვყოფილვარ და მინახავს, ევროპაში ამდენ წამალს არავინ არ სვამს, რასაც ჩვენთან. იქ დაუშვებელია ამდენი წამლის გამოწერა და ამით ავადმყოფის გაჭყეპა. განა ასეთი რა დაავადებული ერი ვართ, რომ ექიმი პაციენტს უწერს 10-15 დასახელების წამალს?!

***– ექიმიც შეკრულია სააფთიაქო ქსელთან?***

– ასეა. სხვანაირად როგორ უნდა ახსნა, აფთიაქში უზარმაზარი სიით მდგარი ადამიანები. მსოფლიოში სადმე ხდება მსგავსი რამ?! უნდა მოვიდეს ისეთი მთავრობა, რომელიც მიხედავს ამ მაფიას. მე სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. პოლიტიკური ნება სჭირდება ამ ყველაფერს და ყველაფერი მოგვარდება. სამწუხაროდ, დღევანდელ ხელისუფლებაში არ არის ამის ნება.

გულიკო ბალაძე

# „მალე აფხაზეთზე კონტროლს სომხები დაამყარებენ“

## მამუკა გვაძაბია: „სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიის წარმომადგენლები რუსეთის საოკუპაციო ძალებთან არაოფიციალურ კავშირში იმყოფებიან“

**რა სიტუაციაში შეიძლება დათმოს და დაუშვას საქართველომ რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა? დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია „ახალ თაობასთან" აფხაზეთსა და ენგურზე შექმნილ ვითარებას მიმოიხილავს და ამის თაობაზე „ახალი თაობის" კითხვებს პასუხობს.**

*– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ აფხაზეთში არსებულ ვითარებას? მოგეხსენებათ, ბოლო დროს ენგურთანაც იყო პრობლემები.*

– აფხაზეთის მოსახლეობაში და, ზოგადად, პოლიტიკურ ისტებლიშმენტში პოლიტიკური კულტურის დონე ძალიან დაბალია. იქ, ფაქტობრივად, რაიმე პოლიტიკურ იდეოლოგიაზე, პოლიტიკურ საწყისებზე კი არ არის კონცენტრირებული საზოგადოება, არამედ კლანებადაა დაყოფილი. ძირითადი გუდაუთისა და ოჩამჩირის კლანებია. ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ამ კლანებს შორის დაპირისპირება გრძელდება. თუმცა, დაპირისპირებაში მონაწილე სუბიექტები ზოგად საკითხში ერთიანი არიან. ყველას თავისი შეხედულებისამებრ რუსეთი მართავს. როცა რუსეთი მოინდომებს, მაშინ შემოიტანს არეულობას და კლანებს ერთმანეთთან დააპირისპირებს.

*– ე.ი. აფხაზეთში არსებულ ძალებს საშინაო საკითხებზე შეიძლება განსხვავებული აზრი ჰქონდეთ, მაგრამ რუსეთთან დაკავშირებით ყველა ერთიანია?*

– ძირითად პოლიტიკურ ისტებლიშმენტში ასეა. ძლიერი და წამყვანი ძალაა სომხური დიასპორა, რომელიც ძალიან რადიკალურად პრორუსულადაა განწყობილი. სომხურ დიასპორას, ფაქტობრივად, რუსეთის სპეცსამსახურები გერეუ და ფსბ აკონტროლებენ. ახლა სომხური დიასპორა პოლიტიკურ ავტონომიას მოითხოვს. ადრე ის მხოლოდ კულტურულ ავტონომიას მოითხოვდა. სომხების მოთხოვნას, აფხაზეთში სომეხთა პოლიტიკური ავტონომიის შექმნის შესახებ, სომხეთის საპატრიარქოც უჭერს მხარს. იმ ძალებს, რომლებსაც აქვთ რუსეთთან დაპირისპირებული იდეოლოგია და თვალი ევროპისკენ უჭირავთ, არავითარი გავლენა არ გააჩნიათ, რომ საქართველოსთან რეინტეგრაციაზე ხმამაღლა ილაპარაკონ.

*– რატომ, ვერ ბედავენ?*

– ეს არის საქართველოს ხელისუფლებების უსუსური პოლიტიკის შედეგი – არა მარტო დღევანდელი ხელისუფლების, არამედ ყველა ხელისუფლების უსუსური პოლიტიკის შედეგია.

*– რომელ ტერიტორიას შემოსაზღვრავენ სომხები თავიანთი მოთხოვნილი პოლიტიკური ავტონომიისთვის?*

– სოხუმის იქით (გაგრიდან დაწყებული) ტერიტორიას, სადაც სომხები კომპაქტურად ცხოვრობენ. აფხაზეთის მასშტაბებიდან გამომდინარე, საკმაოდ დიდი ტერიტორიაა.

*– მოსახლეობის რაოდენობით სომხები აფხაზეთში ახლა რამდენს შეადგენენ?*

– სომხები ძალიან სერიოზული და წამყვანი ძალაა აფხაზეთში. ისინი პირველ-მეორე ადგილზე არიან აფხაზეთში მოსახლეობის რაოდენობით. არ ამბობენ, მაგრამ სომხეთის ხელისუფლებას ძალიან სერიოზული კონტაქტები აქვს აფხაზეთში არსებულ სომხურ დიასპორასთან. იცით თქვენ, ცოტა ხნის წინ, სომხეთის პრეზიდენტი იმყოფებოდა საქართველოში. მათი ერთ-ერთი ნარატივია საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა. ეს სომხების ინტერესებში შედის. როგორც ამბობენ, ყველა შეხვედრაზე, რუსეთთან არაოფიციალური და ოფიციალური კონტაქტების დროს, ერთ-ერთი მთავარი ნარატივია, საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა. რთული სათქმელია, ვინ როგორ მოქმედებს, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, ამ რკინიგზის გახსნის ერთ-ერთი მონაწილეა ქართული მხარეც. რუსმა ოპოზიციონერებმა მითხრეს, აქ ივანიშვილის ინტერესები იკვეთებაო. რამდენად შეესაბამება სიმართლეს, ძნელია თქმა.

*– რაში გამოიხატა ინტერესი?*

– საქართველოს ხელისუფლება აწარმოებს მოლაპარაკებას რუსეთთან საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნაზე.

*– საქართველოს ხელისუფლება აწარმოებს მოლაპარაკებას აფხაზეთში რკინიგზის გახსნაზე, თუ აფხაზეთში რკინიგზის გახსნით რუსები და სომხები არიან დაინტერესებული?*

– ამ სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლება აწარმოებს მოლაპარაკებებს. დაინტერესებულია რუსეთი. მნიშვნელოვანია, რა სიტუაციაში და რატომ შეიძლება საქართველომ დაუშვას აფხაზეთის მონაკვეთზე რკინიგზის გახსნა. მოგეხსენებათ, დღეს კავკასიაში რუსეთის მთავარი სტრატეგიული ამოცანაა, აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონისა და გიუმრის (რომელ წერტილებშიც რუსეთს სამხედრო ბაზები აქვს) სამკუთხედის შეკვრა. ასეთ გეოპოლიტიკურ და ეთნოპოლიტიკურ სიტუაციაში, თბილისში ულტრანაციონალური იდეებით აღჭურვილი მოძრაობები ყოველგვარი შეფერხების გარეშე და დიდი დაფინანსებით მოქმედებენ. ეს, გარკვეულწილად, ჩვენს სეპარატისტულ რეგიონებში იმ პიროვნებებს და დაჯგუფებებს აფრთხობს, ვინც შეიძლება ახლო პერსპექტივაში პროქართული პოზიციები დააფიქსირონ.

*– რა არის საჭირო ამისთვის, რას ელოდებიან?*

– ამას სჭირდება ცენტრალური ხელისუფლების საჭირო მესიჯები, რაც არ ჩანს.

*– რა სიტუაციაში და რატომ შეიძლება საქართველომ დათმოს და დაუშვას აფხაზეთში რკინიგზის გახსნა?*

– ბატონ ივანიშვილს აქვს გაზპრომის აქციები. არ გამოვრიცხავ, რომ ამ თვალსაზრისით ივანიშვილზე გარკვეული სერიოზული ზეწოლა ხდებოდეს.

*– თქვენი აზრით, რა სიტუაციაში შეიძლება დაუშვას ხელისუფლებამ რკინიგზის გახსნა?*

– რკინიგზის, გვირაბისა და გზის გახსნის წინააღმდეგი არავინაა, გააჩნია, როგორი პოლიტიკური სიტუაციაა რეგიონში. როცა ტერიტორია ოკუპირებულია და საოკუპაციო ჯარი დგას, რა აზრი აქვს რკინიგზის გახსნას.

*– არის ისეთი რამ, რის სანაცვლოდაც შეიძლება საქართველო დათანხმდეს რკინიგზის გახსნას?*

– რა თქმა უნდა, არის – დავუშვათ, რუსეთთან 1992-93 წლების კონფლიქტამდე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული დემოგრაფიული სიტუაციის აღდგენა. აღადგინონ ის დემოგრაფიული სიტუაცია, რაც იყო 1992 წლამდე, აფხაზეთში მდინარე ფსოუმდე დააბრუნონ დევნილები და რკინიგზის გახსნის წინააღმდეგი არავინ იქნება. დევნილების დაბრუნების გარეშე, სხვა ნებისმიერი გადაწყვეტილება, რკინიგზის გახსნის თანაფარდი არ იქნება. მწვანილებით, ღვინოებითა და ვაშლით ვაჭრობა, რაღაც სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა და თუნდაც რომელიღაც ოლიგარქის ინტერესების დაკმაყოფილება, საქართველოს ინტერესებში არ შედის. საქართველოს ინტერესებში შედის დევნილების უპირობო დაბრუნება აფხაზეთში. მერე თუნდაც აფხაზეთში ნებისმიერი სახის რეფერენდუმი ჩატარდეს საერთაშორისო დამკვირვებლების მონაწილეობით. ოღონდ დევნილები უპირობოდ დაბრუნდნენ აფხაზეთში, შემდეგ აფხაზეთის სტატუსზე ლაპარაკიც შეიძლება. რკინიგზის გახსნისა და ცივილიზებული ქმედებების წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ როდესაც მხოლოდ ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს ინტერესები იკვეთება, რკინიგზის გახსნა სამშობლოს ღალატია.

*– თქვენ მოსახლეობას მოუწოდებდით, არ დაიჯეროთ, რუსების მიერ საოკუპაციო ხაზის 200 მეტრით უკან გადაწევა არაფერიაო. ეს იყო რუსეთის ტაქტიკური ნაბიჯი?*

– დიახ. რუსეთის, როგორც რბილი, ისე მძიმე ძალები ძალიან სერიოზულ შეტევაზე გადავიდნენ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. დღეს რუსები ბედავენ და აშშ-ის საარჩევნო სისტემებშიც კი ერევიან. ეს მარტივი საქმე არ არის. ამ თვალსაზრისით, საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით, რუსეთის საოკუპაციო ძალებს ძალიან სერიოზული პროპაგანდისტული უზრუნველყოფა აქვთ.

ამ პროპაგანდისტული პიარაქციების ნაწილია რუსეთის მხრიდან რაღაც ტაქტიკური უკანდახევები. სოციალურ ქსელებში მავთულხლართის 150 თუ 200 მეტრით უკან გადაწევით ადამიანები აღფრთოვანებულები იყვნენ. უკან არაფერი გადაწეულა. ეს იყო ზოგიერთი პრორუსულად განწყობილი პროფანის გამოსაღვიძებლად და საზოგადოების თვალის ასახვევად გაკეთებული პიარაქცია, ზოგიერთებმა რომ თქვან, აი, ხომ ხედავთ, როგორი ჰუმანისტები არიანო.

*– ენგურთან საოკუპაციო ზოლის კონტროლთან და იქ შავი ფულის მიმოქცევასთან, თქვენ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიის წარმომადგენლობა დაუკავშირეთ. რეალურად, რა შავ ფულზეა საუბარი, რა ინფორმაციას ფლობთ?*

– რუსეთის საოკუპაციო ძალებთან არაოფიციალურად და ძალიან შენიღბულად პირდაპირ კავშირშია სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიის წარმომადგენლობა.

*– წარმომადგენლობიდან, ვინ?*

– მე დღეს სახელსა და გვარს არ დავასახელებ, რადგან ამ ეტაპზე ეს მართებული არ იქნება. მოვა დრო, როცა ჩემი ინფორმატორი ინფორმაციას ბოლომდე მომაწვდის, მათ გვარებსაც დავასახელებ.

რაც საოკუპაციო ზოლის გასწვრივ, ენგურის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარეს ხდება, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიის წარმომადგენლებსა და მათთან დაახლოებულ კრიმინალურ ელემენტებს შორის ფარული კოორდინაციის შედეგია, აღნიშნული კრიმინალური ელემენტები თავის დროზე მოქმედებდნენ გალის რაიონში, დღეს კი ზუგდიდის რაიონში მოქმედებენ. ეს კოორდინირებული მოქმედება შეეხება არალეგალური ტვირთის გადატანას, კონტრაბანდული საქონლით ვაჭრობას, გადასასვლელების კონტროლს თავისი შეხედულებისამებრ და ა.შ.

*– გუბერნიის გარკვეული წარმომადგენლები და კრიმინალური ელემენტები რუსეთის სამხედროებთან და აფხაზებთან დანაშაულებრივ კავშირში არიან?*

– რუსებთან არიან კავშირში, აფხაზებს არავინ არაფერს ეკითხება. აქ დიდ ფულზეა საუბარი. როგორც მე ვიცი, საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები საკმაოდ სოლიდურ თანხებს ღებულობენ ქართველი მხარის მიერ კონტროლირებადი სტრუქტურებისაგან, რომ კონტრაბანდული ტვირთბრუნვა და ფულის მიმოქცევა დაბრკოლების გარეშე მოხდეს. მეტსაც გეტყვით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიას, ღმერთმა იცის, დღეს რისთვის იყენებენ.

*– რისთვის იყენებენ?*

– მიზნობრივად იყო გამოყოფილი თანხები ევრობანკიდან ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად. ისინი გარიგებაში შედიან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლებთან და გამოყოფილ თანხებს არადანიშნულებისამებრ იყენებენ. ტერიტორია დაახლოებით 330 ჰექტარია.



*– აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი მთავრობაა ჩართული ენგურთან დაკავშირებულ მაქინაციებში?*

– დიახ, ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად სოლიდური თანხები იყო გამოყოფილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან და არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისით თანხები არამიზნობრივად და არაეფექტურად იყო გამოყენებული.

*– ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად თანხა აფხაზეთის ტერიტორიისთვის იყო გამოყოფილი თუ აქეთ ტერიტორიისთვის?*

– ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად აქეთ ტერიტორიისთვისაც იყო გამოყოფილი სოლიდური თანხები და აფხაზეთის ტერიტორიისთვისაც, გალის რაიონი მაქვს მხედველობაში. როგორც ჩანს, თანხა არამიზნობრივად იქნა გამოყენებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ.

*– გალის ტერიტორიისთვის თანხა იყო გამოყოფილი და არ გაიგზავნა?*

– ალბათ გაიგზავნა, მაგრამ სად წავიდა, როგორ დაიხარჯა, კაცმა არ იცის.

*– როგორ შეიძლებოდა გაეკონტროლებინათ, გალის რაიონის ტერიტორიაზე გადარიცხული თანხა სად წავიდა?*

– ალბათ გაიგზავნა, მაგრამ თანხები ტყუილად გაიფლანგა. რაიმე ეფექტურობაზე ლაპარაკი ზედმეტია. სად წავიდა, ვინ მოიხმარა, კაციშვილმა არ იცის, რაც სამართალდამცავი ორგანოების შესასწავლი საკითხია.

*– რა იცით, რომ თანხა ფაროსანას წინააღმდეგ არ გამოიყენა გალის ადმინისტრაციამ?*

– მე ვსაუბრობ შედეგიდან გამომდინარე, რადგან არაფერი ეფექტი არ მოჰყოლია.

ზოგადად, აფხაზეთთან დაკავშირებით რაიმე ახალი მიდგომები და ინიციატივები არ ჩანს. აფხაზეთის უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ხონელიძეს ჰქონდა ინიციატივები, თუმცა, მასაც რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

*– ხონელიძის წამოწყება არ აიტაცეს და შედეგი არ მოჰყვა?*

– არანაირი სტრატეგია აფხაზეთის მიმართულებით შემუშავებული არ არის. ხონელიძის ინიციატივებს პიარისთვის იყენებენ. აფხაზეთის უნივერსიტეტის ინტელექტუალური შესაძლებლობები არ გამოიყენება. ანალიზს არ აკეთებენ, ან ვერ აკეთებენ.



# 2017 წელს მსოფლიოში 192 მილიონი ადამიანი უმუშევარი იყო

2017 წელს მსოფლიოში 192 მილიონი ადამიანი უმუშევარი იყო.

ამის შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გაი რაიდერმა განაცხადა. ამგვარად, უმუშევრობის ზოგადი დონე დედამიწის შრომისუნარიანი მოსახლეობის 5,6%-ს შეადგენს.

უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჩრდილოეთ აფრიკაში ფიქსირდება, სადაც მოსახლეობის 11,7% ანუ 8,7 მილიონი უმუშევარია. ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთ ევროპაში უმუშევრობა 2008 წლის შემდეგ ყველაზე დაბალ მაჩვენებელზეა – 8,5%.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, დადებითი დინამიკა თვალსაჩინოა ეკონომიკური კრიზისისგან დაზარალებულ საბერძნეთსა და ესპანეთში. თუმცა დასაქმება ცხოვრების მაღალი დონის გარანტიას არ წარმოადგენს – 1,4

მილიარდი ადამიანი დედამიწაზე მუშაობის წყალობით მხოლოდ ღარიბულად ცხოვრების უზრუნველყოფას ახერხებს.

გაი რაიდერის თქმით, უახლოეს ორ წელიწადში ეს რიცხვი კიდევ 35 მილიონით გაიზრდება.

# „ინფლაცია მოსახლეობას მწვავედ დააწვა“



– საქართველოს ეკონომიკას 2018 წელს ორი მთავარი გამოწვევა აქვს – ინფლაცია და ლარის კურსი, – განაცხადა ეკონომიკის დოქტორმა, პროფესორმა ლევან ქისტაურმა.

– წინა წლებში ქვეყანა ენდოგენური ფაქტორებით განპირობებული გამოწვევების წინაშე იდგა. მე ვგულისხმობ ჯერ მსოფლიო ფინანსურ კრიზისს, ხოლო შემდეგ ნავთობის ფასების ვარდნას, რომელიც დაახლოებით 115-120 აშშ დოლარიდან (პიკური მაჩვენებლიდან), 40 დოლარამდე დაეცა, – აღნიშნა ლევან ქისტაურმა.

მისი თქმით, ამან გამოიწვია მთელი მნიშვნელოვანი პერტურბაციები გლობალურ ეკონომიკაში, პირველ რიგში, იმ ქვეყნებში, რომლებიც ნავთობის მომპოვებლები არიან და რომელთა ეკონომიკაც ნავთობიდან მიღებულ შემოსავალზე დგას. საქართველოს კი ეს გადმოეცა იმ მექანიზმებით, რომლებიც გამომდინარეობს ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირებიდან.

– პირველ რიგში, ვგულისხმობ რუსეთს, სადაც ნავთობის ფასებმა მთელი რიგი მაკროეკონომიკური პრობლემები გამოიწვია და რაც შემდგომ საქართველოზეც აისახა. იმ პერიოდისთვის რუსეთი თურქეთთან ერთად იყოფდა პირველ-მეორე ადგილს, როგორც ჩვენი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორი. დღეს არსებული პრობლემები ცოტა განსხვავებულია, დღეს საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები არის ინფლაცია და ლარის კურსი, – აღნიშნა ლევან ქისტაურმა.

ქისტაურის განმარტებით, ქვეყანაში ინფლაციის თარგეთირების (მიზნობრივი მაჩვენებლის წინასწარ განსაზღვრის – რედ.) რეჟიმი არსებობს. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის მთავარი მიზანი ინფლაციის მართვაა.

– 2017 წელს ინფლაცია 4%-ის ფარგლებში იყო დაგეგმილი. ეს ნიშნავს, რომ სამომხმარებლო ფასების ზრდა უნდა ყოფილიყო ამ მაჩვენებელთან ახლოს. მაგრამ რეალურად დეკემბერში წლიური ინფლაცია მივიღეთ 6.7%. თითქოს 2.7 პროცენტული პუნქტი დიდი ცდომილება არ არის, მაგრამ ის ძალიან მწვავედ დააწვა ჩვენს მოსახლეობას, – განმარტა ლევან ქისტაურმა.

მისი თქმით, 2017 წელს ინფლაციის ზრდა გამოწვეული იყო ერთჯერადი ფაქტორით, კერძოდ, 2016 წლის ბოლოს საწვავზე აქციზის ზრდით.

– თუ ალკოჰოლსა და თამბაქოზე გაზრდილმა აქციზმა, ფასები უშუალოდ სასმელზე და სიგარეტზე გაზარდა, საწვავის შემთხვევაში ბენზინზე და დიზელზე გაზრდილმა ფასმა ტრანსპორტზე და სხვა საქონელსა და მომსახურეობაზე ფასების მატება გამოიწვია. რაც დღეისათვის მოსახლეობის სერიოზული სატკივარია, – განაცხადა ლევან ქისტაურმა.

რაც შეეხება ლარის კურსს, 1 აშშ დოლარის ღირებულება დღეს დაახლოებით 2 ლარსა და 53 თეთრს შეადგენს. თუმცა, წლის განმავლობაში ეროვნული ვალუტის კურსის საკმაოდ მნიშვნელოვან რყევებს ჰქონდა ადგილი. 2017 წლის განმავლობაში ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებით 2.35 – 2.72-ის დიაპაზონში იცვლებოდა. თუმცა, რეალურად პრობლემას ქმნის არა გარკვეული ნიშნული, რომელსაც შეეჩვევა ბიზნესიც და საზოგადოებაც, არამედ ყველაზე მტკივნეული ლარის კურსის მაღალი ვოლოტირება და არაპროგნოზირებადობაა.

– მე, როგორც ეკონომისტი, ვამბობ, რომ ლარის პრობლემა არა მის კონკრეტულ ნიშნულში, არამედ მის ასეთ რყევაშია, რაც ბიზნესისთვის, შიდამეურნეობისა თუ მოსახლეობისთვის გარკვეულ არაპროგნოზირებად გარემოს ქმნის, – აღნიშნა ლევან ქისტაურმა.

მისივე თქმით, ლარის კურსი და ინფლაცია განსაკუთრებით იმიტომ არის ასე მტკივნეული საქართველოს მოსახლეობისთვის, რომ დაკავშირებულია საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ პრობლემასთან, კერძოდ, საბანკო ვალებთან.

– პრობლემაა როგორც მოსახლეობაზე გაცემული კრედიტების მოცულობა, ასევე ის, რომ ფიზიკურ პირებზე სესხების უდიდესი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია გაცემული. ბოლო სამი წლის განმავლობაში ლარის კურსის დევალვაცია დაახლოებით 70%-ით მოხდა, ეს ნიშნავს რომ მოსახლეობას, რომელსაც შემოსავალი აქვს ლარში, ამდენით გაუძვირდა სესხის მომსახურება, – განაცხადა ლევან ქისტაურმა.

მისი თქმით, თუ მსესხებელს ჰქონდა პირობითად, ხელფასი 1700 ლარი (რაც საქართველოში მაღალი ხელფასია) და მოსდიოდა 1000 დოლარი, საიდანაც 500 დოლარს მიმართავდა სესხის მომსახურებაზე, დანარჩენი თანხით კი ცხოვრობდა, ახლა მას ამ თანხით დაახლოებით 670 დოლარი მოუვა. სესხის მომსახურეობა კი კვლავ 500 დოლარი უჯდება, შესაბამისად საარსებოდ მას უკვე მხოლოდ 250 ლარი დარჩება. მას არ შეუძლია სესხს არ მომემსახუროს, იპოთეკაში აქვს ბინა, უძრავი ქონება და ა.შ. ამიტომ შეამცირა საკვების მოხმარება, ტანსაცმლის შეძენა, დასვენება, გართობა და სხვ. ამან, თავის მხრივ, შეამცირა ეკონომიკაში გადახდისუნარიანი მოთხოვნა და უკან დასწია ქართული ეკონომიკა. რომ არა ასეთი წნეხი, საქართველოს ეკონომიკას დღეს გაცილებით უკეთესი ზრდის ტემპები ექნებოდა, ვიდრე დღეს გვაქვს. თუმცა, არც მშპ-ს ზრდის ის 4.8%-ია ცუდი მაჩვენებელი, რომლითაც, საქსტატის ცნობით, გასული წლის 11 თვეში გაიზარდა ქვეყნის ეკონომიკა. უფრო მეტიც, ეს მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია.

# ჭკვიანი თხილი — შეუძლებელია, კონკურენციის ისე გეშინოდეს, რომ კომპანიის განვითარებაში ხელი შეგიშალოს




„სტარტაპისთვის ისეთი საფასო პოლიტიკა, რაც სავაჭრო ობიექტებს სტანდარტულად აქვთ, მარტივი არ არის“. ამის შესახებ „კომერსანტთან“ საუბრისას ბაზარზე ახლად გამოჩენილი სტარტაპის „ჭკვიანი თხილის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ნინო ანდრიაძემ განაცხადა.

როგორც ანდრიაძე აცხადებს, კომპანიას საქართველოში მომავალი აქვს, რადგან მომხმარებლის მხრიდან ინტერესი საკმაოდ დიდია.

„ჭკვიანი თხილი“ ბაზარზე 2017 წლის დეკემბერში შემოვიდა. მისი დამფუძნებლები ცოლ-ქმარი ნინო ანდრიაძე და შოთა მურცხვალაძე არიან. წყვილმა საკუთარი ხარჯებით შექმნილ ოჯახურ ბიზნესს სახელწოდება მისი სასარგებლო თვისებებიდან გამომდინარე შეურჩია. კომპანიის საწარმო თბილისში დაახლოებით 100 კვადრატულ მეტრზეა განთავსებული. საათში კი 100 კგ-ს აწარმოებს. სამომავლოდ ბრენდი უფრო დიდ მასშტაბებზე გასვლას გეგმავს.

– ბიზნესი საკუთარი ინვესტიციით წამოვიწყეთ. მომდევნო განვითარების ეტაპებზე, რა თქმა უნდა, სხვადასხვა სახის ფინანსური დახმარება დაგვჭირდება და გარკვეული სახის პროექტებში მივიღებთ მონაწილეობას.

კომპანია პროდუქციას კორპორაციული კლიენტებისთვის, სასტუმროებისა და საკონდიტროებისთვისაც აწარმოებს. თხილის პასტა არ შეიცავს კონსერვანტებს, შაქარს და მხოლოდ მცირე რაოდენობით თაფლით არის დამტკბარი. ახალმოხალული თხილის არომატს ეხამება ნატურალური, მადაგასკარის ვანილი. კომპანია დიაბეტურ და ვეგანურ პროდუქციასაც ამზადებს.

„ჭკვიანი თხილის“ საფასო პოლიტიკა საშუალო და მაღალშემოსავლიან სეგმენტზეა გათვლილი. მისი შეძენა ამ ეტაპზე მხოლოდ საიტიდან სოპლიდან.გეა შესაძლებელი. „მოხერხებული მიწისთხილი“ 200 გრ – 12,90 ლარი, „ჭკვიანი თხილი“ 200 გრ 15,90 ლარი, ხოლო „ყოჩაღი ნუში“ 200 გრ 21,90 ლარი ღირს, – განაცხადა ანდრიაძემ.

ნინო ანდრიაძის განცხადებით, „სტარტაპისთვის ისეთი საფასო პოლიტიკა, რაც სავაჭრო ობიექტებს სტანდარტულად აქვთ, მარტივი არ არის. პროდუქციის დახლზე დადებას გარკვეული თანხა სჭირდება და სწორედ ამაზე მაქვს საუბარი. არსებობს სხვა ბევრი ფინანსური ვალდებულებაც. თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ წინსვლისთვის სავაჭრო ობიექტებში წარმოდგენილები უნდა ვიყოთ“, – აღნიშნა ანდრიაძემ.

კომპანიის დამფუძნებელი კონკურენციისა და სამომავლო გეგმების შესახებაც საუბრობს.

– შეუძლებელია, კონკურენციის არ გეშინოდეს, ან ისე გეშინოდეს, რომ კომპანიის განვითარებაში ხელი შეგიშალოს. ვთვლი, რომ ჩვენი პროდუქცია სხვა მსგავსი იმპორტირებული პროდუქტისგან განსხვავებულია. ჩვენ უარი ვთქვით კონსერვანტებით წარმოებაზე.

გაზაფხულისთვის ჩვენი კომპანია „აგროჰაბსა“ და „გუდვილში“ აპირებს შესვლას, ამ ეტაპზე მოლაპარაკებების პროცესი მიმდინარეობს. ძირითადად სავაჭრო ობიექტებში თბილისში ვიქნებით წარმოდგენილები და ჩვენი ონლაინმაღაზია დაახლოებით ორ კვირაში გვექნება. სამომავლოდ „ჭკვიანი თხილის“ ევროპის ქვეყნებში ექსპორტზე გატანა და ასორტიმენტის გამრავალფეროვნება იგეგმება, – განუცხადა „კომერსანტს“ „ჭკვიანი თხილის“ დამფუძნებელმა.

# სავაჭრო ცენტრებს სავალდებულო დაზღვევის პროექტზე შენიშვნები აქვთ



მთავრობის დადგენილება, რომლითაც მასობრივი თავშეყრის ობიექტებს – სავაჭრო ცენტრებს, ბაზრობებს, ავტოგასამართ სადგურებსა და სასტუმროებს – მესამე პირის პასუხისმგებლობის დაზღვევის ვალდებულება უჩნდებათ, ძალაში 1 მარტიდან შედის.

დადგენილების არსებული ფორმით მიღებას ყველაზე მეტი მოწინააღმდეგე სავაჭრო ცენტრებისა და ბაზრობების წარმომადგენლებში ჰყავს. ასოციაციის იურისტი, რომელიც 20-მეტ სავაჭრო ცენტრს წარმოადგენს, BM.GE-თან საუბარში აცხადებს, რომ დაზღვევის აღნიშნული წესი სოლიდურ ფინანსებთან არის დაკავშირებული.

გიგა კვერენჩხილაძის თქმით, იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფომ მოქალაქეებში გააჩინოს საკუთარი ქონებისა თუ ჯანმრთელობის დაზღვევის კულტურა, ბიზნესს მეწარმეების დაზღვევის ვალდებულებას აკისრებს.

– მივიღეთ ნორმატიული აქტი, რომელიც ხელსაყრელია მხოლოდ სადაზღვევო კომპანიებისათვის. დადგენილება გამოიწვევს ბაზრობის მფლობელის, როგორც მეწარმე სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობის შეფერხებას და პარალიზებასაც კი. თუ მაინც ამ სახით დარჩა დადგენილება, მაშინ ის დანახარჯები, რაც უნდა გაიღოს ბაზრობის ორგანიზატორმა, საბოლოო ჯამში აისახება საიჯარო ქირის ოდენობაზე. ვინაიდან როგორც ბაზრობის ორგანიზატორი, ასევე ბაზრობაზე დასაქმებული ყველა პირი თავად არის მეწარმე სუბიექტი და ეწევა კომერციულ საქმიანობას, მიდგომაც უნდა იყოს საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით სამართლებრივი ფორმებით მოვითხოვოთ დასახელებული დადგენილების, როგორც არასამართლიანის და დისკრიმინაციულის ბათილობა სასამართლო წესით, – აცხადებს სავაჭრო ცენტრების ასოციაციის იურისტი.

ბიზნესს მიაჩნია, რომ სამართლიანი და კანონიერი იქნება, თუ განხორციელდება მხოლოდ საკუთარი ქონების სავალდებულო დაზღვევა ბაზრობის ორგანიზატორის და მოვაჭრეების მხრიდან, თუმცა, ასოციაცია სრულად იზიარებს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ბაზრობის ორგანიზატორმა სავალდებულო წესით დააზღვიოს მოვაჭრეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი 300 000 ლარის ფარგლებში.

სავაჭრო ცენტრების წარმომადგენლების ერთობლივი შენიშვნების დოკუმენტი უკვე გადაეგზავნა ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფს, თუმცა, როგორც მათი იურისტი ამბობს, ამ დრომდე მათი არცერთი შენიშვნა გათვალისწინებული არ არის.

# კახა კალაძე: „ლილოს ნაგავსაყრელის დახურვის სამუშაოები წელს დაიწყება“



ლილოს ნაგავსაყრელი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ირგვლივ მცხოვრები ადამიანებისა და ზოგადად ჩვენი ქალაქისთვის. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ ჟურნალისტებს ლილოს ნაგავსაყრელის დათვალიერების შემდეგ განუცხადა. კალაძის თქმით, ნაგავსაყრელის დახურვის სამუშაოები წელს დაიწყება.

როგორც თბილისის მერმა აღნიშნა, ასევე იგეგმება კვლევის ჩატარება, რომელმაც უნდა დაადგინოს, რა ოდენობის ბუნებრივი აირი შეიძლება მივიღოთ მოქმედი ნაგავსაყრელიდან.

ჩვენ ახლა ნაგავსაყრელზე ვიმყოფებით, რომელიც დაახლოებით 84 ჰექტარზეა გადაჭიმული. დღეის მდგომარეობით ნაგავსაყრელი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ირგვლივ მცხოვრები ადამიანებისთვის და ზოგადად ჩვენი ქალაქისთვის. გასატარებელია მთელი რიგი ღონისძიებები, პროექტებია განსახორციელებელი. შესაბამისად, წელს დაახლოებით 17 მილიონი ლარია გამოყოფილი, რომ რამდენიმე ეტაპიანი სამუშაო განხორციელდეს. ეს არის ყველაზე დიდი ნაგავსაყრელი, რომელიც დღეს მოქმედია და საჭიროა მისი დახურვა, კონსერვაცია, გაზშემკრების მოწყობა. ძალიან მნიშვნელოვანია გრუნტის წყლების გაფილტვრითი ინფრასტრუქტურის მოწყობა და ამ სამუშაოების შემდეგ მეთანის სუნის პრობლემა, რომელიც მოსახლეობას აწუხებს, განსაკუთრებით ზაფხულის და ქარიანი ამინდის პერიოდში, მოგვარდება. წინასაარჩევნოდ როდესაც ამ მოსახლეობას შევხვდი, დავპირდი, რომ ნაგავსაყრელის პრობლემას მოვაგვარებდი. შესაბამისად, მოეწყობა ახალი უჯრედი, რომელიც იქნება ევროპული სტანდარტების და გარემოს დაცვის ყველა მიმართულება იქნება გათვალისწინებული. სამუშაოები წელსვე დაიწყება და 1 წლის განმავლობაში შესაძლებელია ამის დასრულება. მთავარი და მნიშვნელოვანია, რომ ჩავატაროთ კვლევა, რა რაოდენობის ბუნებრივი აირი შეიძლება მივიღოთ ამ მოქმედი ნაგავსაყრელიდან. ამ ოდენობას დასკვნა და კვლევები გვაჩვენებს, – განაცხადა კალაძემ.

# გიორგი ხანიშვილი: „2017 წელს მოსავლის განადგურება მხოლოდ აზიური ფაროსანას მავნებლობით არ იყო გამოწვეული“



– 2017 წელს მოსავლის განადგურება მხოლოდ აზიური ფაროსანას მავნებლობით არ იყო გამოწვეული.

ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილმა რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „კომერსანტის თემა სალომე სოსელიასთან ერთად“ ისაუბრა.

მისი განცხადებით, ამ შემთხვევაში ბაღების მოვლა-დამუშავება აუცილებელია. როგორც ხანიშვილი აცხადებს, აუცილებელია, ადგილობრივმა ფერმერებმა საკუთარ ნაკვეთებში აგროკალენდრით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება განახორციელონ.

მისი თქმით, 2018 წელს აზიურ ფაროსანასთან საბრძოლველად 50 მილიონი ლარი დაიხარჯება. შეძენილია შესაბამისი ტექნიკაც და ის პრეპარატები, რომლებიც ზარალით მიყენებულ შედეგს შეამცირებენ. ხანიშვილის ინფორმაციით, მთავრობამ უკვე შეიძინა 120 ერთეული ტექნიკა, დამატებით 17 კი – ევროპისა და ამერიკის მთავრობის მიერ იქნა შესყიდული.

– საქართველოში მალე იქნება ის პესტიციდებიც, რომელთა საშუალებითაც მოხდება მიწის დამუშავება-მოწამვლა. აღსანიშნავია, რომ ტექნიკის საშუალებით დამუშავდება ის საჯარო სივრცეები, რომელსაც ფერმერი და ნებისმიერი ბიზნესით დაინტერესებული პირი ვერ დაამუშავებს, – აღნიშნავს ხანიშვილი.

მინისტრის მოადგილის თქმით, 2018 წელს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მთავარი მიზანია მიღებული ზარალის მაქსიმალურად შემცირება. ამ პროცესებში კი გიორგი ხანიშვილი ხაზს თავად საზოგადოებისა და განსაკუთრებით ფერმერთა უშუალო ჩართულობას უსვამს.

განადგურებულ მოსავალსა და ნარგავების/ბაღების მოუვლელობის კავშირზე საუბრობდა რამდენიმე დღის წინ „კომერსანტთან“ თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ალექსანდრე მოწერელიაც.

მისი განცხადებით, მთავარი პრობლემა, რის გამოც ქართული თხილის ხარისხი დაბალია და მოსავლის ნახევარი ნადგურდება, აზიური ფაროსანასა და კლიმატური პირობების გარდა, ბაქტერიოზია. როგორც მოწერილია განმარტავდა, აღნიშნული დაავადება ნარგავების მოუვლელობის გამო გაჩნდა.– მოსავალი დაახლოებით 50%-ით არის შემცირებული, ნახევარი განადგურდა. პრობლემები არის უფრო კომპლექსური, ვიდრე აზიური ფაროსანა. ჩვენთან პლანტაციები არის მოუვლელი. როცა თხილი ერთეული ნარგავების სახით და მცირე რაოდენობით იყო წარმოდგენილი, პრობლემები არ გვქონდა. მას შემდეგ, რაც მცენარეების კონცენტრაციამ იმატა, მათი მოშენება და აგროწესების დაცვა სწორად არ ხდება. ამიტომაც იჩინა თავი ყველა დაავადებამ, – აღნიშნავდა მოწერელია.

შეგახსენებთ, რომ აზიური ფაროსანა პირველად საქართველოში 2015 წელს გამოჩნდა. მავნებლის გავრცელებამ მოსავლის ღირებულების უმეტესი ნაწილი გაანადგურა. 2018 წლის მიმდინარე გეგმა პარლამენტში, აგრარულ საკითხთა კომიტეტში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა უკვე წარადგინა.

# გიორგი გახარიას განცხადებით, შსს დანაშაულის სტატისტიკას გამოაქვეყნებს



შს მინისტრის გიორგი გახარიას განცხადებით, სამინისტრო დანაშაულის სტატისტიკას გამოაქვეყნებს, მათ შორის გასული წლის დეკემბრის ჩათვლით. თუმცა მინისტრი ამ დროისთვის არ აკონკრეტებს, როდის გამოქვეყნდება ეს სტატისტიკა.

როგორც შს მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, დანაშაულის სტატისტიკის გამოქვეყნების შემდეგ შეგვეძლება მსჯელობა, გაზრდილია თუ არა კრიმინალი ქვეყანაში.

– ჩვენ რეფორმების გეგმის წარდგენასთან ერთად საზოგადოებას დავპირდით, რომ შს სამინისტრო სტატისტიკის მონაცემებს სტაბილურად გამოაქვეყნებდა. შესაბამისად, დეკემბრის თვის ჩათვლით სტატისტიკა იქნება გამოქვეყნებული, შემდეგ უკვე თქვენთან ერთად ვიმსჯელებთ კრიმინალის ზრდასთან თუ კლებასთან დაკავშირებით. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ყველა რეფორმა, იქნება ეს კრიმინალური პოლიციის, საპატრულო თუ სასაზღვრო პოლიციის, მიმართული იქნება, რომ მაქსიმალურად ეფექტურები ვიყოთ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში, – განაცხადა მინისტრმა.

# სასამართლომ „ბახალა“ დამნაშავედ ცნო და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი გიორგანაშვილი (ბახალა) დამნაშავედ ცნო და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

გამოძიება მსახიობს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების პირადი მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვას ედავებოდა.

მსახიობი მთელი ამ დროის განმავლობაში აცხადებდა, რომ 45 აბი ე.წ. სუბოტექსი პოლიციამ ჩაუდო.

„ბახალა“ 2016 წლის 25 იანვარს დააკავეს და 14 ივლისს 20 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.



❖ ❖ ❖

თბილისის საქალაქო სასამართლო მსახიობ გიორგი გიორგანაშვილისთვის (ბახალა) გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნარკოდანაშაულისათვის ბრალდებულ გიორგი გ.-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა. სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

წარდგენილი ბრალდების თანახმად, გიორგი გ-მ, გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა და შეინახა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 0,3726 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ (სუბოტექსი) შემცველი 45 აბი და აბის 4 ნატეხი, რაც 2017 წლის 25 იანვარს საქართველოს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზაზე ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს.

სასამართლომ, საქმის არსებითი განხილვისას გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, დადასტურებულად მიიჩნია გიორგი გ.-ს მხრიდან ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა. სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის პიროვნება და ის გარემოება, რომ იგი წარსულში ნასამართლევი არ იყო, მის ქმედებას ზიანი არ მიუყენებია სხვა პირისთვის და სასჯელის სახით გამოიყენა წარდგენილი მუხლით გათვალისწინებული სანქციის მინიმუმი.

სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემდეგ, სხდომაზე დამსწრე ორმა პირმა დაარღვია წესრიგი, კერძოდ, სასამართლოს ეზოში გასვლის შემდეგ, ერთ-ერთმა მათგანმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა სასამართლოს, ხოლო მეორემ შენობის მიმართულებით ისროლა აგური, რის შედეგადაც ჩაიმსხვრა ცენტრალური შემოსასვლელის მინა. სასამართლო მანდატურის სამსახურმა აღკვეთა ქმედება და წესრიგის დაცვის მიზნით ორივე მათგანი დააკავა – აღნიშნულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# დავით ბლუაშვილი: „ქუთათელაძემ მითხრა, რომ გიორგი ჭანტურიასთან კონფლიქტი ჰქონდა“

„სტამბოლის ბაზრის“ ერთ-ერთი მეწილის შვილის, დავით ბლუაშვილის განცხადებით, სოსო ქუთათელაძემ ერთ-ერთ შეხვედრაზე უთხრა, რომ გიორგი ჭანტურიასთან კონფლიქტი ჰქონდა.

– მეგობრული, პარტნიორული ურთიერთობა მქონდა ქუთათელაძესთან. თვეში დაახლოებით ერთხელ-ორჯერ ვხვდებოდი ძირითადად ბაზრის საქმეზე. იქ ჩემი ოჯახის ერთ-ერთი წევრი ფლობს ფართს და ამ ფართთან დაკავშირებით თუ დამჭირდებოდა, მეხმარებოდა ამაში. ბოლოს როდესაც შევხვდი, რაც მისგან მოვისმინე, კონფლიქტი ჰქონდა ჭანტურიასთან. ეს ეხებოდა რაღაც ადგილების დავას. ვიცი, რომ სოსო შეწუხებული იყო ამ კონფლიქტით. ქუთათელაძემ მითხრა, გიორგი ჭანტურია კაბინეტიდან გავაგდე კიდეცო.

მისივე განცხადებით, ის გამოძიებამ დაკითხა.

– გამოძიებას აინტერესებდა, თუ სად ვიმყოფებოდი მკვლელობის დღეს, სად გადავადგილდებოდი, ვისთან მქონდა კონტაქტი. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი გამოძიებას დავუსაბუთე, ტელეფონიც მივეცი, რომ გადაემოწმებინათ. დადასტურდა, რომ რეალურად არ ვიმყოფებოდი ქალაქში, – განაცხადა ბლუაშვილმა.



# სოსო ოსორაულის მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტზე საქართველოს მთავარ პროკურატურაში გამოძიება გრძელდება



კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფილი მფრინავის, საქართველოს მოქალაქე სოსო ოსორაულის მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტზე საქართველოს მთავარ პროკურატურაში გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გრძელდება. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს მძევლად ხელში ჩაგდებას შვიდ დღეზე მეტი ხნით.

საქართველოს პროკურატურაში და საგარეო საქმეთა სამინისტროში კომენტარს არ აკეთებენ ოსორაულის ოჯახის წევრების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე იმის შესახებ, რომ ქართველი მფრინავი ცოცხალია.

კონგოში დატყვევებული ქართველი მფრინავის ძმამ კობა ოსორაულმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, რომ კონგოში მყოფი ქართველების ინფორმაციით, სოსო ოსორაული ცოცხალია.

– მე პირადად არ მისაუბრია ჩემს ძმასთან, მაგრამ ვიცით, რომ ცოცხალია. როდესაც სახელმწიფომ გამოაცხადა ჩემი ძმა გარდაცვლილად, მას შემდეგ რამდენიმე დღეში, ჩემს ძმას სოსოს ჰქონდა კავშირი იქაურ მეგობრებთან და გენერლებთან, რის შემდეგაც ჩვენ ძებნა არ შეგვიწყვეტია. ამ ეტაპზე მოკვლევას ვაწარმოებთ, რომ დადგინდეს მისი ზუსტი ადგილსამყოფელი, – განაცხადა კობა ოსორაულმა.

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ორი შვეულმფრენი მეამბოხეებმა 2017 წლის 27 იანვარს ჩამოაგდეს. არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთ შვეულმფრენს მართავდა საქართველოს მოქალაქე სოსო ოსორაული, რომელიც მეამბოხეებმა ტყვედ აიყვანეს. საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე კი დაიჭრა. მან მკურნალობის კურსი ქალაქ გომაში გაიარა. სოსო ოსორაული წლების განმავლობაში ქართულ ჯარში მსახურობდა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, იგი შეიარაღებული ძალებიდან 2015 წელს, საკუთარი განცხადების საფუძველზე წავიდა.

# სარკინიგზო გვირაბის აფეთქება ხარაგაულში – ერთ-ერთი დაშავებულის მდგომარეობა მძიმეა

ხარაგაულში, სარკინიგზო გვირაბის აფეთქების დროს დაშავებული ერთ-ერთი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. ექიმების განცხადებით, დაშავებულს დამატებითი ქირურგიული ჩარევა ესაჭიროება. სამი დაშავებულიდან ერთ-ერთი გვიან ღამით თბილისში რეანომობილით გადმოიყვანეს.

პროფკავშირების წარმომადგენლები შემთხვევისას უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შესახებ საუბრობენ. უკვე ცნობილია, რომ სარკინიგზო გვირაბში მომხდარ ფაქტს ეკონომიკის სამინისტრო შეისწავლის.

– დარღვეულია ყველანაირი სტანდარტი, ყველანაირი ნორმა და ეს არ არის პირველი შემთხვევა, არც იმ კომპანიაში, სადაც ეს ადამიანები მუშაობდნენ, ზოგადად, საქართველოში შრომა არ არის უსაფრთხო. ნებისმიერ ორგანიზაციაში, სამშენებლო კომპანიებში, შახტებსა თუ გვირაბებში, ყველგან ანალოგიური სიტუაციაა, ადამიანები იღუპებიან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არ არსებობს სტანდარტი და მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც გააკონტროლებს საქართველოში უსაფრთხო შრომას, – აცხადებს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირის აპარატის ხელმძღვანელი პაატა ნინუა.



# აფხაზეთის საზღვართან გარდაცვლილი ბექა რუსიას ოჯახი გამოძიებას უნდობლობას უცხადებს

აფხაზეთის საზღვართან გარდაცვლილი ბექა რუსიას ოჯახი გამოძიებას უნდობლობას უცხადებს სოფელ მუჟავაში, აფხაზეთის ე.წ. საზღვართან უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი ბექა რუსიას ოჯახის წევრები და მათი ადვოკატი საქმის პროკურორ დავით პაპავას შეხვდნენ.



შეხვედრის დასრულების შემდეგ გარდაცვლილის დედამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ პროკურატურამ გამოძიების თავიდან დაწყების შესახებ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

– პროკურატურა არ აპირებს გამოძიების ხელახლა დაწყებას, რაც ჩვენი მოთხოვნა იყო. იგივე გვითხრეს, რაც 18 იანვარს სასამართლო პროცესის მსვლელობისას ითქვა, – განაცხადა იზა რუსიამ. ოჯახი ამბობს, რომ აღნიშნულ საქმეზე რამდენიმე პირის მონაწილეობა იკვეთება და მხოლოდ ერთია დაკავებული. ისინი გამოძიებას უნდობლობას უცხადებენ.

წალენჯიხის სოფელ მუჟავაში ახალგაზრდა მამაკაცი სამეგრელო-აფხაზეთის ე.წ. საზღვართან 27 ოქტომბერს გარდაიცვალა. აღნიშნულ საქმეზე ერთი პირია დაკავებული. პროკურატურის ინფორმაციით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის განსაკუთრებულ დავალებათა მეორე სამმართველოს ტერიტორიაზე, აღნიშნული სამმართველოს სწრაფი რეაგირების მე-2 ასეულის მოსამსახურემ დ. ჯ.-მ, ამავე სამმართველოს ოცეულის მოსამსახურეს – ა. კ.-ს სახელზე რიცხული ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, გაუფრთხილებლობით მოუსპო სიცოცხლე ამავე სამმართველოს სამხედრო მოსამსახურეს ბ. რ.-ს. 27 ოქტომბერს დ.ჯ. დააკავეს, მეორე დღეს კი მას ბრალი სს კოდექსის 116-ე, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის მუხლით წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

# ყაჩაღობა თბილისში – ბახტრიონზე ერთ-ერთ ოჯახს შეიარაღებული პირები დაესხნენ თავს

შემთხვევა 23 იანვარს ღამით ბახტრიონის ქუჩაზე, 29 ნომერში მოხდა. შეიარაღებული პირები ერთ-ერთ ოჯახს დაესხნენ თავს და შემთხვევის ადგილიდან მიმალვა შეძლეს.

ადგილზე არ გაკეთებულა კომენტარები, გვიან ღამემდე მუშაობდნენ კინოლოგები და ექსპერტ-კრიმინალისტები.

# უბედური შემთხვევა რუსთავში – მატარებელი მამაკაცს დაეჯახა



უბედური შემთხვევა მოხდა რუსთავში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, პირველადი ინფორმაციით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი შუახნის მამაკაცი ლიანდაგზე გადადიოდა, რა დროსაც მას მატარებელი დაეჯახა. ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები. სასწრაფო დახმარების ბრიგადამ დაშავებული ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

ექიმების ინფორმაციით, მამაკაცს სიცოცხლისთვის შეუთავსებელი ტრავმები არ აღენიშნება და მისი მდგომარეობა სტაბილურია. მიმდინარეობს შესაბამისი გამოკვლევები.

2018, 24 იანვარი, №19

# ევროპელი ექსპერტები: „ქურთები რეგიონში ძალაუფლებისთვის ბრძოლაში სათამაშოდ იქცნენ“

## ერდოღანი ოპერაციის ბოლომდე მიყვანას აპირებს

მარიამ მჭედლიშვილი



სირიელი ქურთების წინააღმდეგ აფრინში თურქეთის მიერ დაწყებული სამხედრო ოპერაცია რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ მოვლენად. საქართველოში კეთდება პროგნოზები, რომ ეს მოვლენები შეცვლის ძალთა ბალანსს კავკასიაში.

ევროპელი ექსპერტების აზრით, ცოტა ხნის წინ ქურთები ცდილობდნენ სირია-ერაყის კრიზისული მოვლენების გამოყენებას თავისი პრობლემების გადასაწყვეტად. დღეს ქურთები იქცნენ სათამაშოდ რეგიონში ძალაუფლებისთვის ბრძოლაში.

მათი შეფასებით, თუ თურქეთი განდევნის სახალხო თავდაცვის ქურთთა რაზმებს, ეს იქნება დიდი დარტყმა ამერიკისათვის, რომელიც დაკარგავს გავლენას სასაზღვრო რეგიონზე თურქეთსა და სირიას შორის. ეს გაახარებს პუტინს, რომელმაც ბოლო დროს ისევ გამონახა საერთო ენა თურქ კოლეგასთან. ეს საგრძნობლად გაზრდის თურქეთის როლს რეგიონში.

გერმანული მედიის აზრით, აშშ-ის ქურთთა სახალხო თავდაცვის რაზმები მიაჩნია თავის ერთადერთ ადეკვატურ მოკავშირედ, რომელიც არ დაუშვებს ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ გაცოცხლებას. ვაშინგტონის საბოლოო მიზანი ომისშემდგომ სირიაში საკუთარი გავლენის ზრდა და ირანის შესუსტებაა.

წინა დღეებში ექსპერტები, ამ მოვლენებიდან გამომდინარე, საუბრობდნენ ანკარასა და ვაშინგტონს შორის პირდაპირი კონფრონტაციის გარდაუვალობაზე.

„ნიუ იორკ თაიმსი“ ასეთ დაპირისპირებას გამორიცხავს. გამოცემის სიტყვებით, თურქ ჩინოსნებს ბევრჯერ გაუკრიტიკებიათ აშშ ქურთების სახალხო თავდაცვის რაზმების მხარდაჭერისა და შეიარაღებისათვის, მაგრამ თურქებმა ამ დღეებში მკაფიოდ განაცხადეს, რომ არ სურთ ამერიკულ ჯარებთან კონფრონტაცია სირიაში.

ევროპელი ანალიტიკოსების აზრით, ამ მოვლენებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს დაპირისპირება აშშ-ს, რუსეთსა და ირანს შორის.

ბოლო თვეებში რუსეთი, ირანი და თურქეთი მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან სირიის საკითხში. ექსპერტების შეფასებით, ანკარა-მოსკოვის ალიანსი სწორედ იმაზე დგას, რომ რუსეთი უარს ამბობს ქურთების მხარდაჭერაზე.

თურქეთის სამხედრო ოპერაციას სირიაში თანადგომა გამოუცხადა ყატარმა. ამ ქვეყნის საგარეო უწყებამ განაცხადა, რომ აფრინში ოპერაცია ნაკარნახევია ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებით და ის კანონიერია.

ყატარმა გამოთქვა რწმენა, რომ თურქეთი დაინტერესებულია სირიის ტერიტორიული მთლიანობისა და მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვით.

– ანკარა არ გეგმავს სირიის ტერიტორიის დაპყრობას. თურქეთის მიზანია, უზრუნველყოს სირიის ეროვნული უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა, – აღნიშნა ერდოღანმა.

ახლო აღმოსავლეთი სხვა მხრივაც რჩება ცხელ წერტილად. მართალია, აშშ-ის საელჩოს იერუსალიმში გადატანა გადაიდო, მაგრამ იერუსალიმის საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

მედიის ცნობით, აშშ-მ გადაწყვიტა გაეროს იმ სააგენტოს დაფინანსების შეწყვეტა, რომელიც პალესტინელ ლტოლვილებს ეხმარება, ისრაელის კანონმდებლებმა კი მოამზადეს კანონპროექტი, რომლითაც დასაქმებული პატიმრები ხელფასებს პალესტინისთვის განკუთვნილი სახსრებიდან მიიღებენ.

პალესტინის ადმინისტრაციას ამ სიტუაციაში არაბული სამყაროს იმედი აქვს. პალესტინელები იმედოვნებენ, რომ არაბული საფინანსო-სადაზღვევო ქსელი მათთანაც ამოქმედდება.

პალესტინის ადმინისტრაცია ასევე არ გამორიცხავს დახმარებას ნორვეგიისაგან, რომელიც დონორი ქვეყნების კოორდინატორია. პალესტინაში მოელიან, რომ სხვადასხვა მიზეზით მძიმე დღეში ჩავარდნილ პალესტინელებს შეიძლება დახმარება გაუწიონ ევროპელებმა, ჩინეთმა, რუსეთმა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებმა.

# თურქეთის არმია სირიაში წინსვლას განაგრძობს



სირიაში თურქეთის არმია წინსვლას განაგრძობს. პრეზიდენტმა ერდოღანმა თავის სატელევიზიო გამოსვლაში დაადასტურა, რომ აფრინს ჯერჯერობით ქურთები აკონტროლებენ, თუმცა თურქეთის ჯარმა რამდენიმე სოფელი დაიკავა და ქალაქის მისადგომებთან იმყოფება.

– ჩვენმა ჯარმა წინ 10 კმ-ით წაიწია, – განაცხადა ერდოღანმა.

თურქეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ აფრინი დღე-დღეზე დაეცემა. ერდოღანის თქმით, თურქების მიზანია უსაფრთხოების 30 კმ-იანი ზონის შექმნა, რათა ტერორისტებისგან თავი დაიცვან.

– ჩვენს რუს მეგობრებთან ყველაფერი შეთანხმებულია! – აცხადებს ერდოღანი.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სირიაში განთავსებული რუსული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებების დეაქტივიზაცია მოახდინა. ამავე დროს პუტინმა ქურთებს მოუწოდა, რომ აფრინი ასადის არმიას ჩააბარონ.

– საკუთარი ძალებით აფრინის შენარჩუნებას ვერ შეძლებთ. გირჩევთ, ქალაქი ასადის არმიას ჩააბაროთ, –ასე მიმართა ქურთებს პუტინმა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა, თავის მხრივ, თურქებს მოუწოდა, ქურთების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებისგან თავი შეიკავოს და უმთავრესი ყურადღება „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლას მიაქციოს.

# ალასკასთან 8,2 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა




აშშ-ში, ალასკის შტატის სამხრეთ-აღმოსავლეთით 8,2 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. ამის შესახებ აშშ-ის გეოლოგიური სამსახური იუწყება.

მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქ კოდიაკიდან 278 კილომეტრში, 10 კილომეტრის სიღრმეზე მდებარეობდა.

ამ ეტაპზე დაშავებულთა შესახებ არანაირი ინფორმაცია არ ვრცელდება.

მომხდარის შემდეგ მიწისძვრის რადიუსში ცუნამის განგაში გამოცხადდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# აშშ-ის მთავრობამ მუშაობა განაახლა



აშშ-ის სენატმა დროებითი ბიუჯეტის მიღებას მხარი დაუჭირა. ფედერალურ მთავრობას შეუძლია მუშაობა განაგრძოს.

– დღეს ქვეყნის ინტერესები მოითხოვს, რომ მთავრობამ ფუნქციონირება განაგრძოს. ჩვენ ბიუჯეტს მხარი ამიტომ დავუჭირეთ, – განაცხადა სენატორმა შუმერმა.

ტრამპმა დროებით ბიუჯეტს ხელი მოაწერა. აშშ-ის მთავრობამაც მუშაობა განაახლა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფსორიაზის მკურნალობა მაღალი შედეგით – მალამოებით, ლიმფის გაწმენდითა და ნერვული სისტემის მოწესრიგებით. ფრჩხილის სოკო და კანის სოკო, ეგზემა, სტრეპტოდერმია და სხვა – ბუნებრივი საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე.597 98-95-99; 599 45-88-66. ნინო ექიმი.

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამადანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# საქართველო ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობას აპირებს



ლოზანაში, მსოფლიოს ოლიმპიურ დედაქალაქში, შედგა შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილსა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ თომას ბახს შორის. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიხეილ ჯანელიძე და მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელი ალექსანდრე ონოფრიშვილი. მხარეებმა საქართველოში ზამთრის სპორტისა და ტურიზმის განვითარების აქტუალური საკითხები განიხილეს.

მხარეებმა ზამთრის ოლიმპიურ სახეობებში დიდი საერთაშორისო შეჯიბრებების, მათ შორის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების პერსპექტივებზე ისაუბრეს. კვირიკაშვილმა სოკ-ის პრეზიდენტს დეტალურად გააცნო საქართველოს შესაძლებლობები.

შედეგად გადაწყდა, რომ სოკ-ი საქართველოში ექსპერტებისა და მრჩევლების სპეციალურ ჯგუფს გამოაგზავნის, რომელიც შეისწავლის საქართველოს მთის კურორტების განვითარების მდგომარეობას და მოამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ სამთო-სათხილამურო კურორტების განვითარება საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტულია და ამ პროცესში შვეიცარიის გამოცდილების გაზიარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ყურადღება გამახვილდა საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატის ფართოდ გამოყენების მნიშვნელობაზე, რაც დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს მთის სათხილამურო კურორტების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებას.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

– განვიხილეთ ზამთრის სპორტის სახეობებისა და სამთო კურორტების განვითარების პერსპექტივა საქართველოში. გადაწყდა, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში ჩამოვა საერთაშორისო ექსპერტების ჯგუფი, რომელიც ჩვენთან ერთად შეისწავლის განვითარების პერსპექტივებს. საბოლოო მიზანი არის, რომ საქართველოში ჩავატაროთ ზამთრის სპორტული ოლიმპიადა. ამისთვის გვჭირდება სტრატეგია, განვითარების გეგმა და ეს ჯგუფი საქართველოში სწორედ ამ გეგმის შესაქმნელად ჩამოვა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძალიან საინტერესო საქმეს დავუდეთ სათავე. დიდი იმედი გვაქვს, რომ ექსპერტების ჯგუფთან ერთად გავაკეთებთ ძალიან ამბიციურ გეგმას და უკვე გვექნება სამოქმედო გეგმა ყოველწლიური ქმედებისთვის.

**თომას ბახი:**

– ჩვენთვის ძალიან შთამბეჭდავია ბოლო პერიოდის განმავლობაში თქვენს ქვეყანაში განხორციელებული აქტივობები. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი დაინტერესებულია სპორტის განვითარებით და ამ პროცესში ჩვენ მხარს ვუჭერთ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს, მათ შორის საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს.

**ლერი ხაბელოვი:**

– ბატონ თომას ბახს ადრეც არაერთხელ დაუდასტურებია კეთილგანწყობა საქართველოს და უშუალოდ ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის მიმართ. ეს დამოკიდებულება იგრძნობოდა დღევანდელ შეხვედრაზეც. ჩვენ, რა თქმა უნდა, მივესალმებით საქართველოს მთავრობის ძალისხმევას ქვეყანაში ზამთრის სპორტის განვითარებისთვის და მზად ვართ აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ამ პროცესში.

## შედეგები

**22 იანვარი**
**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

სუონსი-ლივერპული ...................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 24 | 21 | 2 | 1 | 70:18 | 65 |
| 2.მანჩესტერი | 24 | 16 | 5 | 3 | 49:16 | 53 |
| 3.ჩელსი | 24 | 15 | 5 | 4 | 45:16 | 50 |
| 4.ლივერპული | 24 | 13 | 8 | 3 | 54:29 | 47 |
| 5.ტოტენჰემი | 24 | 13 | 6 | 5 | 47:22 | 45 |
| 6.არსენალი | 24 | 12 | 6 | 6 | 45:31 | 42 |
| 7.ლესტერი | 24 | 9 | 7 | 8 | 36:32 | 34 |
| 8.ბარნლი | 24 | 9 | 7 | 8 | 19:21 | 34 |
| 9.ევერტონი | 24 | 7 | 7 | 10 | 26:39 | 28 |
| 10.უოტფორდი | 24 | 7 | 5 | 12 | 33:44 | 26 |
| 11.ვესტ ჰემი | 24 | 6 | 8 | 10 | 30:42 | 26 |
| 12.ბორნმუთი | 24 | 6 | 7 | 11 | 25:36 | 25 |
| 13.კრ.პალასი | 24 | 6 | 7 | 11 | 22:37 | 25 |
| 14.ჰადერსფილდი | 24 | 6 | 6 | 12 | 19:41 | 24 |
| 15.ნიუკასლი | 24 | 6 | 5 | 13 | 22:34 | 23 |
| 16.ბრაიტონი | 24 | 5 | 8 | 11 | 17:33 | 23 |
| 17.სტოკი | 24 | 6 | 5 | 13 | 25:50 | 23 |
| 18.საუთჰემპტონი | 24 | 4 | 10 | 10 | 24:35 | 22 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 24 | 3 | 11 | 10 | 19:31 | 20 |
| 20.სუონსი | 24 | 5 | 5 | 14 | 15:35 | 20 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ეიბარი-მალაგა ............................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 20 | 17 | 3 | 0 | 57:9 | 54 |
| 2.ატლეტიკო | 20 | 12 | 7 | 1 | 29:9 | 43 |
| 3.ვალენსია | 20 | 12 | 4 | 4 | 41:21 | 40 |
| 4.რეალი | 19 | 10 | 5 | 4 | 39:18 | 35 |
| 5.ვილიარეალი | 20 | 10 | 4 | 6 | 28:22 | 34 |
| 6.სევილია | 20 | 10 | 2 | 8 | 26:28 | 32 |
| 7.სელტა | 20 | 8 | 4 | 8 | 35:28 | 28 |
| 8.ბეტისი | 20 | 8 | 3 | 9 | 33:41 | 27 |
| 9.ხეტაფე | 20 | 7 | 6 | 7 | 25:20 | 27 |
| 10.ხირონა | 20 | 7 | 6 | 7 | 29:29 | 27 |
| 11.ეიბარი | 20 | 8 | 4 | 8 | 25:32 | 28 |
| 12.ბილბაო | 20 | 6 | 8 | 6 | 23:22 | 26 |
| 13.ლეგანესი | 19 | 7 | 4 | 8 | 17:19 | 25 |
| 14.ესპანიოლი | 20 | 6 | 6 | 8 | 16:25 | 24 |
| 15.სოსიედადი | 20 | 6 | 5 | 9 | 34:36 | 23 |
| 16.ალავესი | 20 | 6 | 1 | 13 | 16:29 | 19 |
| 17.ლევანტე | 20 | 3 | 9 | 8 | 16:28 | 18 |
| 18.დეპორტივო | 20 | 4 | 4 | 12 | 22:44 | 16 |
| 19.ლას პალმასი | 20 | 4 | 2 | 14 | 16:47 | 14 |
| 20.მალაგა | 20 | 3 | 3 | 14 | 14:34 | 12 |

### იტალია. სერია ა

იუვენტუსი-ჯენოა ......................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 21 | 17 | 3 | 1 | 45:13 | 54 |
| 2.იუვენტუსი | 21 | 17 | 2 | 2 | 50:15 | 53 |
| 3.ლაციო | 20 | 13 | 4 | 3 | 53:25 | 43 |
| 4.ინტერი | 21 | 12 | 7 | 2 | 36:16 | 43 |
| 5.რომა | 20 | 12 | 4 | 4 | 31:15 | 40 |
| 6.სამპდორია | 20 | 10 | 3 | 7 | 39:30 | 33 |
| 7.მილანი | 21 | 9 | 4 | 8 | 27:28 | 31 |
| 8.ატალანტა | 21 | 8 | 6 | 7 | 31:27 | 30 |
| 9.უდინეზე | 20 | 9 | 2 | 9 | 34:28 | 29 |
| 10.ტორინო | 21 | 6 | 11 | 4 | 29:28 | 29 |
| 11.ფიორენტინა | 21 | 7 | 7 | 7 | 30:24 | 28 |
| 12.ბოლონია | 21 | 8 | 3 | 10 | 26:30 | 27 |
| 13.კიევო | 21 | 5 | 7 | 9 | 21:37 | 22 |
| 14.სასუოლო | 21 | 6 | 4 | 11 | 14:31 | 22 |
| 15.ჯენოა | 21 | 5 | 6 | 10 | 16:23 | 21 |
| 16.კალიარი | 21 | 6 | 2 | 13 | 19:33 | 20 |
| 17.კროტონე | 21 | 5 | 3 | 13 | 16:38 | 18 |
| 18.სპალი | 21 | 3 | 7 | 11 | 22:39 | 16 |
| 19.ვერონა | 21 | 3 | 4 | 14 | 18:44 | 13 |
| 20.ბენევენტო | 21 | 2 | 1 | 18 | 13:46 | 7 |

### საფრანგეთი. მე-2 ლიგა

პარიზი-აიაჩო ................................ 2:1

### თურქეთი. სუპერლიგა

ქაისერი-გალათასარაი .................. 1:3

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# საქართველოს ნაკრების მეტოქეები დღეს გაირკვევა

დღეს ლოზანაში უეფას ერთა ლიგის დივიზიონების ჯგუფური ეტაპის წილისყრა გაიმართება და საქართველოს ნაკრების მეტოქეების ვინაობა გაირკვევა.

ახალი არ არის, რომ ევრო-2020 ყველა წინა ტურნირისგან განსხვავებული იქნება: მომავალი კონტინენტის პირველობა 13 ქვეყნის 13 ქალაქში ჩატარდება და ფინალურ ეტაპზე მოხვედრის 2 გზა იარსებებს.

24 საგზურიდან 20 ტრადიციული გზით გათამაშდება, ანუ ჩატარდება საკვალიფიკაციო ტურნირი, ხოლო კიდევ 4 საგზური კი ახალი ტურნირის, უეფას ერთა ლიგის პლეი ოფში გათამაშდება.

ახალი ტურნირი საქართველოს ნაკრებისთვის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის უდიდესი შანსია.

კიდევ ერთხელ შევეცდებით, მარტივად ავხსნათ, თუ როგორ შეიძლება მოხვედრა ამიერიდან ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე საქართველოს საფეხბურთო ნაკრებისთვის.

აქამდე ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა ავტომატურად ხდებოდა მასპინძელი ქვეყნის, რადგან მომავალ ევროპირველობას ერთდროულად 13 ქვეყნის 13 ქალაქი უმასპინძლებს. ამდენ გუნდს ჩემპიონატზე ავტომატურად ვერ დაუშვებდნენ. ასე რომ, ჩემპიონატზე ავტომატურად არავინ არ არის დაშვებული და 24-ვე საგზური გათამაშდება.

სამაგიეროდ, უეფამ შედარებით სუსტი ქვეყნებისთვის ახალი გზა აირჩია. ძველებური, ანუ, საკვალიფიკაციო ტურნირი (20 საგზური) დარჩა და მეორე: ახალი, ანუ უეფას ერთა ლიგა (4 საგზური). საბოლოო ჯამში, უეფას 55 მონაწილე ქვეყნიდან 24 ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს.

20 საგზურის მოპოვების დრო 2019 წლის მარტიდან ნოემბრამდეა. ამ ტურნირის წილისყრა 2 დეკემბერს ირლანდიის ქალაქ დუბლინში გაიმართება. 55 გუნდი 10 ჯგუფში განაწილდება. თითოეული ჯგუფიდან 2-2 საუკეთესო ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.

უეფას ერთა ლიგის 4 საგზურის მოპოვების პირველი ნაწილი 2018 წლის სექტემბრიდან 2019 წლის ივნისამდე გაიმართება, ხოლო მეორე ნაწილი – 2020 წლის მარტში.

ნაკრებები უეფას ეროვნულ გუნდთა კოეფიციენტის მიხედვით დაიყო ა, ბ, ც და დ ლიგებად. 2018 წლის სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბერში ჯგუფური ეტაპის მატჩები გაიმართება, ივნისში დივიზიონის ნახევარფინალები და ფინალები.

უშუალოდ ევრო 2020-ის საკვალიფიკაციო პლეი ოფი, 2020 წლის მარტში გაიმართება, როცა უკვე ცნობილი იქნება საკვალიფიკაციო ტურნირიდან ევრო 2020-ზე მოხვედრილი 20 ნაკრების ვინაობა. საკვალიფიკაციო პლეი ოფებშიც ნახევარფინალები და ფინალებია გათვალისწინებული.

საკვალიფიკაციო პლეი ოფში უეფას ერთა ლიგიდან მხოლოდ ის ნაკრებები ითამაშებენ, რომელთაც ტრადიციული გზით საგზური არ ექნებათ მოპოვებული.




ნახევარფინალები ორმატჩიანია, ხოლო ფინალები – ერთმატჩიანი (ფინალის ადგილი წინასწარ გამოცხადდება). საბოლოოდ, ოთხივე დივიზიონის პლეი ოფების თითო გამარჯვებული ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს.

დ ლიგის დივიზიონები ასეა გადანაწილებული...

**ა დივიზიონი:** გერმანია, პორტუგალია, ბელგია, ესპანეთი, საფრანგეთი, ინგლისი, შვეიცარია, იტალია, პოლონეთი, ისლანდია, ხორვატია, ჰოლანდია;

**ბ დივიზიონი**: ავსტრია, უელსი, რუსეთი, სლოვაკეთი, შვედეთი, უკრაინა, ირლანდია, ბოსნია, ჩრდ. ირლანდია, დანია, ჩეხეთი, თურქეთი;

**ც დივიზიონი**: უნგრეთი, რუმინეთი, შოტლანდია, სლოვენია, საბერძნეთი, სერბეთი, ალბანეთი, ნორვეგია, მონტენეგრო, ისრაელი, ბულგარეთი, ფინეთი, კვიპროსი, ესტონეთი, ლიტვა;

**დ დივიზიონი**: აზერბაიჯანი, მაკედონია, ბელარუსი, საქართველო, სომხეთი, ლატვია, ფარერები, ლუქსემბურგი, ყაზახეთი, მოლდოვა, ლიხტენშტაინი, მალტა, ანდორა, კოსოვო, სან მარინო, გიბრალტარი.

როგორ ჯგუფში შეიძლება მოხვდეს ვლადიმერ ვაისის გუნდი?

საქართველოს ნაკრები პირველ კალათაშია აზერბაიჯანთან, მაკედონიასთან და ბელარუსთან ერთად. ასე რომ, ეს სამი ნაკრები ჯგუფურ ეტაპზე ჩვენ ვერ დაგვიპირისპირდება.

ჩვენ ყველაზე ადვილი და ყველაზე რთული ვარიანტები შევარჩიეთ:

ყველაზე იოლი ჯგუფი საქართველოს ნაკრებისთვის ასეთი უნდა იყოს: საქართველო, ლუქსემბურგი, ლიხტენშტაინი, გიბრალტარი (ან სან მარინო).

ყველაზე რთული ჯგუფი კი – საქართველო, სომხეთი, ყაზახეთი, ანდორა.

თუმცა, თუ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის პრეტენზია გვაქვს, ნაკრებმა ამ დივიზონში ყველა გზა უნდა გაიაროს.

# ბელგიური პრესა ჩაკვეტაძეს აქებს

ბელგიის ა დივიზიონში თავისი სადებიუტო გოლი გაიტანა გიორგი ჩაკვეტაძემ, რასაც იქაურ პრესაში უმალ მოჰყვა გამოძახილი. შეგახსენებთ, რომ ჩაკვეტაძე გენტი-ლოკერენის (3:0) მატჩის 42-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე, 2 წუთში მასპინძლებმა პირველი გოლი გაიტანეს, რაც ქართველი ფეხბურთელის აქტიურობას მოჰყვა, ხოლო მესამე გოლი თავად ჩაკვეტაძემ გაიტანა.




ბელგიის ჩემპიონატის ვებგვერდმა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად რომან იარემჩუკი დაასახელა, თუმცა გარჯა არც ჩვენებურს დაუკარგა:

– 18 წლის ტალანტმა საკუთარი თავი კარგად წარმოადგინა. ის იყო გადამწყვეტი ფაქტორი პირველი გოლისას, მესამე გოლი კი შესანიშნავი გამოუვიდა. მიუხედავად ამისა, მატჩის საუკეთესოდ რომან იარემჩუკს ვასახელებთ, რომელმაც მთლიანად შეცვალა თამაშის ხასიათი და გაიტანა მეორე გოლი.

გენტის თავკაცმა ივ ვანდერჰაგემ მატჩის შემდეგ იარემჩუკსა და ჩაკვეტაძეზე ისაუბრა:

– იარემჩუკი ძალიან კარგი, მხიარული ბიჭია. როცა თამაშობს, ძალიან მშვიდად არის. მაგრამ ვარჯიშებზეც კი ეტყობა, რამხელა საფრთხის მომტანია მეტოქეთათვის. ჩაკვეტაძე უფრო ჩუმია, მაგრამ ძალიან ნიჭიერია. როცა ბურთი აქვს, ძალიან ძლიერია. თანაც, მან კიდევ ბევრი უნდა მოუმატოს, საამისოდ დიდი რესურსი აქვს. ლოკერენთან გიორგიმ ბრწყინვალედ ითამაშა.

ბირჟერ ვერსტრეტი, გენტის ფეხბურთელი

– გიორგი სულაც არ არის „რთული" ახალგაზრდა. რა თქმა უნდა, მას მოსამატებელი აქვს დაცვით ფუნქციებში, მაგრამ ბურთით ბრწყინვალეა. ეს უკვე ბევრჯერ დაგვიმტკიცა ვარჯიშებზე".

ვნახოთ, რას წერს ბელგიური მედიაც.

**ფუტბოლნიუსი:**

– გიორგი ჩაკვეტაძის ტალანტი მხოლოდ აღმოსავლეთ ფლანდრიაში არ არის ცნობილი. იგი გასულ ზაფხულს მიუნხენის ბაიერნის ინტერესთა სფეროში იყო. მის მომავალს ტოტენჰემს, ბორნმუთსა და შახტარს უკავშირებენ. როგორც ჩანს, გენტმა მისი სახით თვითნაბადი ოქროს ზოდი იპოვა.

**ფუტბოლკრანტი:**

– გოლი და ნახევარი ასისტი 56 წუთში. მორცხვი ბიჭი, რომელიც უკეთ თავისი თამაშით „ლაპარაკობს". იმედია, ქართველი უახლოეს თვეებში მეტს ითამაშებს. ის უკვე ძალზე ეფექტურია და თან, რა გოლი გაიტანა! ულამაზესი.

# რუსეთში მსოფლიო ჩემპიონატზე ვიდეოგამეორებას გამოიყენებენ




ფიფას კომერციულ დირექტორ ფილიპ ლი ფლოკის თქმით, 2018 წლის რუსეთში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე ვიდეოგამეორებას გამოიყენებენ.

**ფილიპ ლე ფლოკი:**

– გადაწყვეტილია, რომ ვიდეოგამეორებას მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვიყენებთ. კარგია, რომ გვაქვს შესაძლებლობა გამოვიყენოთ ტექნოლოგიები ფეხბურთში. ეს კიდევ უფრო განამტკიცებს შედეგის სამართლიანობას. ამ ეტაპზე ჩვენ სხვადასხვა ტექნოლოგიურ კომპანიებთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, ისინი თანამშრომლობით ძალიან დაინტერესებულნი არიან.

საბოლოო გადაწყვეტილებას ახალი ტექნოლოგიის გამოყენების შესახებ 2018 წლის 2 მარტს, საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო კომიტეტის სხდომაზე მიიღებენ.

# ზინედინ ზიდანი: „რონალდუზე ვილაპარაკოთ“




მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა ჟურნალისტებთან ისაუბრა. ფრანგი სპეციალისტის ვრცელი საუბრით განებივრებული არც ესპანური მედიაა.

**ზინედინ ზიდანი:**

– ჩემი გუნდი ხშირად თამაშობს 4-4-2 სქემით და ასევე მიმართავს ტრადიციულ 4-3-3 სქემას. ყველა პაექრობის წინ ვაფასებთ მეტოქის სტრატეგიას და ვცდილობთ საუკეთესო ტაქტიკა დავუპირისპიროთ.

***– რას იტყვით ბილბაოს მეკარე კეპა არიზაბალაგაზე?***

– მე არ მიყვარს საუბარი იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც რეალში არ თამაშობენ.

***– რა ტრანსფერებს უნდა ველოდოთ უახლოეს მომავალში?***

– არაერთხელ განვაცხადებ, რომ ზაფხულამდე რეალი არავის არ შეიძენს. მე ასეთი გადაწყვეტილება მაქვს მიღებული. თუ კეპამ ბილბაოსთან გაახანგრძლივა, ეს მისი გადაწყვეტილებაა.

***– ითამაშებენ თუ არა სამეფო თასზე კრიშტიანო რონალდუ და სერხიო რამოსი?***

– კრიშტიანომ ძლიერი დარტყმა მიიღო, მაგრამ ახლა ყველაფერი წესრიგშია. სერხიო რამოსი გუნდთან ერთად ვარჯიშობს, თუმცა ვერ გეტყვით, მიიღებს თუ არა სათამაშო წუთებს ლეგანესის წინააღმდეგ.

***– ალბათ მეტი დრო მიეცემა გარეთ ბეილს.***

– ბეილი ამტკიცებს, რომ ჩვენ უნდა გვქონდეს მისი იმედი. როგორც კი უელსელმა ტრავმა მოიშუშა და დისკომფორტს არ განიცდის, პროგრესი აშკარა გახდა.

***– საუბრები იყო გუნდიდან ისკო ალკორკონის წასვლაზე.***

– ისკო რეალისთვის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა – მას რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში და ხშირად მითქვამს, რომ ძალიან მჭირდება. გასაგებია, რომ ნახევარმცველს „ელ კლასიკოში“ არ უთამაშია, მაგრამ მუდმივად ამაზე საუბარი უკვე მომაბეზრებელია. იქ მეორე ტაიმში იმდენად ცუდად განვითარდა მოვლენები, რომ იძულებითი ცვლილებების გაკეთება მომიხდა.

***– ასევე ბევრს საუბრობენ რეალში ნეიმარის შესაძლო გადასვლაზე.***

– ის საოცარი ფეხბურთელია, ბრაზილიელის თამაშის ხილვა დიდ სიამოვნებას მანიჭებს, მაგრამ ნეი ხომ რეალში არ თამაშობს. მოდით, კრიშტიანო რონალდუზე ვისაუბროთ, რომელმაც გაცილებით დიდებული წელი ჩაატარა, ვიდრე ნეიმარმა.

# ალექსის სანჩესი არსენალს უტიტულობას უჩივის



მანჩესტერ იუნაიტედის ახალწვეულმა, ჩილელმა ალექსის სანჩესმა ყოფილი კლუბის, ლონდონის არსენალის ლეგენდების მხრიდან მის მიმართ გამოვლენილ კრიტიკას უპასუხა.

„ოლდ ტრაფორდზე“ გადაბარგების პირას მყოფი ჩილელის მიმართ არაერთი კრიტიკოსი გამოთქვამდა თავის აზრს ბოლო დღეების განმავლობაში. მათ შორის იყვნენ არსენალის ყოფილი ფეხბურთელებიც.

მაგალითად, მარტინ კიუნმა პირდაპირ დაადანაშაულა სანჩესი, რომ იგი ფულის გამო გადადის იუნაიტედში, რასაც ალექსისმა პირველივე შესაძლებლობისთანავე უპასუხა.

მისი თქმით, არსენალის დატოვების მიზეზი ტიტულების მოგების სურვილი გახდა – მიზეზი, რომლის გამოც თავის დროზე ტიერი ანრი გადაბარგდა არსენ ვენგერის გუნდიდან.

**ალექსის სანჩესი:**

– არსებობს ხალხი ყოფილ ფეხბურთელთა რიგებში, რომლებიც ყოველგვარი წარმოდგენის გარეშე, თუ რა ხდება კლუბში, გამოთქვამდნენ აზრს და სისულელეს ყბედობდნენ. უნდა გითხრათ, რომ ყოველთვის 100 პროცენტით ვიხარჯებოდი, ბოლო დღემდე. ბოლო დღესაც კი ვთხოვე მწვრთნელს, რომ შემადგენლობაში შევეყვანე, რადგან გუნდის დახმარება მინდოდა. გავიხსენებ ჩემს დიალოგს ანრისთან, არსენალის ისტორიულ ფეხბურთელთან. მან კლუბი იმავე მიზეზით გამოიცვალა, რის გამოც მე.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

# მოდელმა ქალწულობის გაყიდვა გადაიფიქრა და მშობლები გაანაწყენა



იტალიელმა მოდელმა, რომელმაც რამდენიმე ხნით ადრე აუქციონზე გასაყიდად საკუთარი ქალწულობა გამოიტანა, განაცხადა, რომ მის გაყიდვას აღარ აპირებს.

– მე სულელურად მოვიქეცი და ძალიან ვნანობ. დროის უკან დაბრუნება რომ შემეძლოს, ამას აღარ გავაკეთებდი, თუმცა ჩემი მიზანი სახელის მოხვეჭა არ ყოფილა, – განმარტა მოდელმა, რომელმაც იქვე დაამატა, რომ მას, უბრალოდ, სურდა გაეგო, ვინმე ამაში ფულს თუ გადაიხდიდა.

გოგონამ დაიჩივლა, რომ მისი ცხოვრება საშინელებად იქცა, ვინაიდან მას გამუდმებით ურეკავენ ესკორტ-სააგენტოდან და ეკითხებიან, თუ როგორ გადაურიცხონ ფული. ამასთან, როდესაც ეს ყოველივე მისმა მშობლებმა შეიტყვეს, „მეტყველების უნარი წაერთვათ“.

სააგენტოს წარმომადგენლები უარყოფენ, რომ, გოგონას თავი მოაბეზრეს გაუთავებელი ზარებით. მათ აღიარეს, რომ ვებგვერდიდან უკვე წაშალეს აუქციონის გვერდი.

შეგახსენებთ, რომ 18 წლის მოდელს, რომელიც ნიკოლის ფსევდონიმით არის ცნობილი, ექვსნიშნა თანხას სთავაზობდნენ მასთან პირველი ღამის გატარებაში.

# მამაკაცმა, მამა რომ გამხდარიყო, წონაში დაიკლო



ბრიტანელმა მამაკაცმა, რომელიც 159 კილოგრამს იწონიდა, თავისი წონის მესამედი დაიკლო იმისთვის, რომ მამა გამხდარიყო. ამ ინფორმაციას გამოცემა დეილი სთარი ავრცელებს.

სამი წლის უშედეგო მცდელობის შემდეგ ქალაქ ლესტერშირის მცხოვრებმა დენი ბრაუნმა ექიმს მიმართა. მან, თავის მხრივ, მამაკაცს აუხსნა, რომ, დიდი ალბათობით, ამის მიზეზი მისი სიმსუქნე იყო და დაჟინებით ურჩია, მინიმუმ 32 კილოგრამი დაეკლო წონაში. მხოლოდ ამის შემდეგ მისცემდნენ წყვილს ხელოვნური განაყოფიერების პროცედურაში მონაწილეობის უფლებას.

– ყოველთვის მინდოდა, მამა გავმხდარიყავი, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. არც კი მიფიქრია, რომ ამაში ხელს საკუთარი წონა მიშლიდა, – განაცხადა ბრაუნმა. ის მიკროავტობუსის მძღოლად მუშაობდა, ნაკლებს მოძრაობდა და მუდმივად ფასტფუდით იკვებებოდა. ჩვეულებრივ, ის ბეკონის ორ რულეტს მიირთმევდა საუზმეზე, ქათამს – სადილზე და ჩინურ საჭმელებს – სამხარზე, ხოლო შეკვეთის მოლოდინში ბრაუნი ხშირად ორ კათხა ლუდსაც სვამდა.

მამაკაცი ახალგაზრდობაში ბიპოლარული აშლილობით იყო დაავადებული და წონაში წამლების მიღების შედეგად დაიწყო მომატება, ამასთან, საკუთარი განწყობის ასამაღლებლად ბევრსაც ჭამდა.

ბრაუნმა გადაწყვიტა, საკუთარი ცხოვრების წესი შეეცვალა: მან უარი თქვა სწრაფი კვების რესტორნებში ორ სადილობაზე, შეამცირა ალკოჰოლის მოხმარება და კვირაში ოთხჯერ სპორტულ დარბაზს სტუმრობს. ორ თვეში მან 13 კილოგრამი დაიკლო, რის შემდეგაც ბავშვის ჩასახვა ბუნებრივი გზით შეძლო. თუმცა ბრაუნი ამაზე არ შეჩერებულა და წონაში დაკლება გააგრძელა. საბოლოოდ მან 57 კილოგრამი დაიკლო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# თვითმფრინავმა ინდური სოფელი ადამიანის ფეკალიებით დაბომბა



ინდოეთის ქალაქ გურგაონის მახლობლად მდებარე სოფლის მცხოვრებლებმა უცნაური ხმაური გაიგონეს და ის მეტეორის ჩამოვარდნა ეგონათ. ადგილზე მისულმა პოლიციელებმა აღმოაჩინეს, რომ ეს ადამიანის ფეკალიები იყო.

პოლიციელებმა დაახლოებით 10-კილოგრამიანი მასა შენიშნეს. ზოგიერთ სოფლელს ის ყინული ეგონა. საქმე ის არის, რომ დიდი სიმაღლიდან ფეკალიების გადმოგდების დროს ისინი ჰაერში ხშირად იყინებიან. ყველაფერი კი მას შემდეგ გაირკვა, როდესაც მან დნობა დაიწყო.

ინციდენტი მას შემდეგ მოხდა, რაც ყველა ავიაკომპანიას დაეგზავნა განკარგულება, რომელიც მათ შეახსენებდა, რომ ადამიანის ფეკალიების ჰაერიდან გადმოგდება აკრძალულია.

2016 წელს მიღებული აკრძალვის შეხსენება იმის გამო გახდა აუცილებელი, რომ არც ისე დიდი ხნის წინ ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებმა აღმოაჩინა, რომ მისი სახლი ჰაერიდან გადმოგდებული ფეკალიებით იყო დასვრილი. ასეთი ქმედებისთვის ინდოეთში ჯარიმაა დაწესებული, რომელიც 50 ათას რუპიას შეადგენს.

# ასტროპროგნოზი

## 24 იანვარი



**ვერძი** – დღეს მოსალოდნელია საინტერესო თავგადასავლები. კეთილისმყოფელი პერიოდია ოჯახური დღესასწაულებისათვის. **კურო** – მთელ დროს შემოქმედებით საქმიანობას მოანდომებთ. პრობლემის გადაჭრა არასტანდარტული გზით ცადეთ. **ტყუპები** – სიყვარულში გაგიმართლებთ. მამაკაცებს მეგობრებთან ურთიერთობაში გარკვეული დაბრკოლებები შეგხვდებათ. **კირჩხიბი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. საჭიროების შემთხვევაში ექიმთან ვიზიტი არ დააყოვნოთ. **ლომი** – იზრუნეთ ბავშვებზე, ახლო ნათესავებზე. შესაძლოა, თქვენს მომავალ მეორე ნახევარს სწორედ დღეს შეხვდეთ. **ქალწული** – ჰარმონიული და მშვიდი დღეა. საღამოს ოდნავ შეგაწუხებთ ქრონიკული დაავადება. **სასწორი** – გონიერებისა და თავშეკავების დახმარებით წარმოშობილ უსიამოვნებას თავიდან იოლად აიცილებთ. **ღრიანკალი** – წადით სამოგზაუროდ. ახალი შთაბეჭდილებები თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე დადებით გავლენას მოახდენს. **მშვილდოსანი** – ახალი ნაცნობობა იღბლიანია. გიფართოვდებათ შემოქმედებითი საქმიანობის არეალი. **თხის რქა** – ერიდეთ კოლექტიურ საქმიანობას. ერთობლივი პროექტები არასასურველ შედეგს გამოიღებს. **მერწყული** – საკუთარი ძალები რეალურად შეაფასეთ. აკეთეთ ის, რაც ხელგეწიფებათ. **თევზები** – ჯანმრთელობის პრობლემები თავს იჩენს. სერიოზული არაფერია. შესაძლოა, პატარა გაციებამ შეგაწუხოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. აზოვის ზღვის ძველი სახელწოდება; 2. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი; 3. ფრანგული სამხედრო ვერტმფრენმზიდი ხომალდი; 4. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 5. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 8. სახელმწიფოს, წარმოების, კომპანიის შემოსავალ-გასავლის ნუსხა; 9. ჯემისგულიანი კანფეტი; 12. დრამატული სიუჟეტის მუსიკალური ნაწარმოები გუნდისა და ორკესტრისათვის; 13. თხელი, დაბეგვილი ხორცის ნაჭრის კატლეტი; 16. სახელმწიფოების, პარტიების გაერთიანება, კავშირი; 17. ქართული ტელეკომპანია; 19. ქართული ხალხური ცხენოსნური შეჯიბრება; 20. სომხური ცეკვა.

**თარაზულად**: 6. კუთხე საქართველოში; 7. წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით; 8. გობელენის ერთ-ერთი სახეობა; 10. კომერციული საქმიანობა; 11. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 14. ქაღალდის ფული; 15. ქართველი შტანგისტი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 18. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 21. რიჰარდ შტრაუსის ოპერა; 22. მგალობელი ჩიტი; 23. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 24. მანძილის საზომი ერთეული ზღვაოსნობაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტაიბეი; 2. არიკი; 3. რუხი; 5. ხახამი; 6. ქაოსი; 7. „ლატავრა“; 11. რეიმსი; 13. გდანსკი; 14. პაქტი; 15. „ყაზბეგი“; 16. კლინიკა; 17. გაბენი; 19. აგუტი; 20. „როშე“.

**თარაზულად:** 1. ტრაპერი; 4. კირხე; 8. ხვატი; 9. ხაჭო; 10. „ბუკერი“; 12. გაუტამა; 14. „პუმა“; 15. ყაპუზუნა; 16. კექსი; 18. ნუბია; 21. ბედია; 22. კრუშონი; 23. ტანკერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კოფეინი; 2. კნესეტი; 3. პიგმენტი; 4. კაჭიჭი; 5. ვერსაჩე; 8. ლიქიორი; 9. ჰარისონი; 12. გროტესკი; 13. სტატუსი; 16. ბაბუშერა; 17. „სელტიკი“; 19. ამპერი; 20. იზორია.

**თარაზულად:** 6. კომანდორი; 7. მავრები; 8. ლემური; 10. „ფიპრესი“; 11. „ზარა“; 14. მეტაფორა; 15. სომბრერო; 18. მანეჟი; 21. მისხალი; 22. ბზიფი; 23. ისრიმი; 24. „ნატახტარი“.

# რომის პაპმა ჭორიკანა მონაზვნებს ტერორისტები უწოდა



რომის პაპმა ფრანცისმა ჭორიკანა მონაზვნები ხუმრობით ტერორისტებს შეადარა. ეს მან ლიმაში სამხრეთამერიკული ტურნეს ფარგლებში გამოსვლის დროს გააკეთა.

– თქვენ იცით, რა უნდა უწოდოთ ჭორიკანა მონაზვნებს? – ჰკითხა თავის მსმენელ მონაზვნებს რომის პაპმა, – ტერორისტები, იმიტომ რომ ჭორები ბომბებს ჰგავს. ვიღაცა მას გაუშვებს და შემდეგ ის ადამიანებს ცხოვრებას უნგრევს, ჭორიკანა კი მშვიდად აგრძელებს გზას.

მისმა უწმინდესობამ იქვე დაამატა, რომ ჭორაობის სურვილისგან უარის თქმის საუკეთესო საშუალება ენაზე კბენაა, ხოლო თუ ისინი რჩევას ყურად მაინც არ იღებენ და ჭორაობას გააგრძელებენ, მაშინ ეშმაკი მონასტერშიც კი შეძლებს შეღწევას.

პონტიფიკმა ეს ყოველივე მხიარული ტონით წარმოთქვა და მისი მსმენელი მონაზვნები გააცინა.

# სუშის მოყვარულს მეტრნახევრიანი მატლი ამოუღეს




ამერიკის კალიფორნიის შტატში მამაკაცს, რომელიც ყოველდღე სუშის მიირთმევდა, ორგანიზმიდან მეტრნახევარი სიგრძის მატლი ამოუღეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი ტელეარხი ავრცელებს.

მამაკაცმა ადგილობრივი საავადმყოფოს ექიმს კენი ბანს შესჩივლა, რომ სისხლზე გადიოდა. ტუალეტში მორიგი სტუმრობისას, მან აღმოაჩინა, რომ მისი შიგნეულიდან რაღაც უცნაური არსება გამოდიოდა. ეს რაღაც მეტრნახევრიანი მატლი აღმოჩნდა, რომელიც მან პოლიეთილენის პარკში მოათავსა და საავადმყოფოში მიიტანა. მან ექიმს ასევე უთხრა, რომ მისი ორგანიზმიდან გამოსვლის შემდეგ მატლი მოძრაობდა.

ჟურნალისტებთან საუბარში ექიმის თქმით, პარაზიტის ორგანიზმში მოხვედრის მრავალი გზა არსებობს, მაგრამ პაციენტის მონაყოლის თანახმად, მას ქვეყნის ტერიტორია არ დაუტოვებია და ისეთი არაფერი უკეთებია, რაც მის ორგანიზმში პარაზიტის მოხვედრას შეუწყობდა ხელს. თუმცა მამაკაცმა აღიარა, რომ მას ძალიან უყვარდა სუში, რომელსაც ის ყოველდღე ჭამდა. შესაძლოა სწორედ ეს გახდა მისი დასნებოვნების მიზეზი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ლალი ჭეიშვილი, შვილიშვილი კოტე გუმბარიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რევაზ ალექსანდრეს ძე ჭეიშვილი**



პანაშვიდი: 23, 24 იანვარს, 17 საათზე, გოგებაშვილის 43 (მწერალთა კავშირის სახლი).

გამოსვენება: 25 იანვარს, 14 საათზე, ვერის წმინდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესიიდან.

გია აბაშიძე, ალიკა კოპაძე, ნუკრი ლაზრიშვილი იუწყებიან უახლოესი მეგობრის

**რევაზ ჭეიშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.



**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# დეკანოზი ილია ჭიღლაძე: „ფრესკებზე მილურსმული ხატები – სამარცხვინო უპატივცემულობა უნიკალური მრავალსაუკუნოვანი საეკლესიო კულტურისა"



დეკანოზი ილია ჭიღლაძე ქართული კულტურული მემკვიდრეობის დიდი ქომაგია. სასულიერო პირი ხშირად ავრცელებს ინფორმაციას ამა თუ იმ დარღვევის შესახებ და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს დროულ რეაგირებას სთხოვს.

ამჯერად დეკანოზმა ფრესკებზე მილურსმული ხატები გააპროტესტა:

– ფრესკებზე მილურსმული ხატები – სამარცხვინო უპატივცემულობა უნიკალური მრავალსაუკუნოვანი საეკლესიო კულტურისა.

შეგნებულად არ ვწერ, რომელი ტაძარია, არც ის ვიცი, ახლა ისევ ასეა თუ გამოსწორდა შეცდომა. ფოტო წინა წლებისაა და ინტერნეტიდანაა. სამწუხაროდ, ამგვარ ვანდალიზმს სხვაგანაც ბევრგან შევხვედრივარ.

სოს! საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა!

# რეჟისორი თორნიკე ბზიავა დააკავეს



რეჟისორი თორნიკე ბზიავა, რომელიც ქეთი დოლიძის შვილია, დააკავეს. შემთხვევა თბილისის საქალაქო სასამართლოში ბახალას სასამართლო პროცესზე მოხდა.

მას შემდეგ, რაც მსახიობ გიორგი გიორგანაშვილის განაჩენი გამოცხადდა, მისმა მეგობრებმა – რეჟისორმა თორნიკე ბზიავამ, „თეთრი ხმაურის მოძრაობის" წევრმა ბექა წიქარიშვილმა მანდატურს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

თორნიკე ბზიავაც და ბექა წიქარიშვილიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დააკავეს.

მანდატურების მტკიცებით, დაკავებულებმა საქალაქო სასამართლოს კარს აგური ესროლეს.

# ლევან სონღულაშვილი თბილისის სამხატვრო აკადემიაში ლექციებს წაიკითხავს



ამერიკაში მოღვაწე ქართველი მხატვარი, ლევან სონღულაშვილი, რომლის ნამუშევრებიც სოთბის აუქციონზე იყიდება, თბილისის სამხატვრო აკადემიაში ლექციებს წაიკითხავს.

5 თებერვლიდან ლევან სონღულაშვილის ლექციები და მასტერკლასის სერიები თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სახვითი ხელოვნებისა და თეორიული ფაკულტეტის სამაგისტრო და საბაკალავრო კურსის სტუდენტთათვის ჩატარდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სამი ათასმა მაიმუნმა ტაილანდის ორი სოფელი დაარბია

ტაილანდის პროვინცია სისაკეტში ორი სოფელი მაკაკების შემოსევებისგან დაზარალდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ჩინური სააგენტო ავრცელებს.

გარეული მაიმუნების გუნდები საკვების მოსაპოვებლად სახლებში იჭრებოდნენ, აყირავებდნენ ნივთებს, აღებდნენ მაცივრებს და პროდუქტებს იატაკზე ყრიდნენ. გარდა ამისა, მათ თითქმის მთლიანად გაანადგურეს ახლომდებარე ნათესები და ბუდისტური მონასტრის საცხოვრებელ შენობებშიც კი შეაღწიეს. ამ შემოსევებში სამი ათასზე მეტი მაიმუნი მონაწილეობდა.



როდესაც მშიერი მაკაკები სახლებში კარიდან და ფანჯრებიდან ვერ შედიოდნენ, მაშინ სავენტილაციო ხვრელებიდან ძვრებოდნენ. დროდადრო სახლების სახურავებზე შეტაკებები იმართებოდა სხვადასხვა დაჯგუფებას შორის, რომლებიც ერთმანეთისთვის მოპოვებული საკვების წართმევას ცდილობდნენ. ამ ყოველივეს შედეგად რამდენიმე სახლი დაზიანდა.

# სამხედრო აკადემიაში გეების ქორწილი შედგა



პირველმა მოქმედმა სამხედრო გეიწყვილმა იქორწინა აშშ-ის ელიტურ სამხედრო აკადემია ვესტ-პოინტში. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

დენიელ ჰოლმა და ვინსენტ ფრანჩინომ საქორწინო ცერემონია ნიუ იორკში სამხედრო აკადემიაში რამდენიმე დღის წინ გამართეს. მათ ერთმანეთი იქ 2009 წელს გაიცნეს.

ბოლო კურსის სტუდენტი ჰოლი პირველკურსელის კურატორად დაინიშნა. ისინი დიდხანს ვერ ახერხებდნენ ერთმანეთისთვის საკუთარი გრძნობების გამოხატვას პოლიტიკის „არ იკითხო, არ ილაპარაკო" გამო, რომელიც სამხედროებს უკრძალავს საკუთარი ორიენტაციის წარმოჩენას ან ამ თემაზე საუბარს.

ცერემონიაზე მამაკაცები ფორმაში გამოწყობილები მივიდნენ და შემდეგ სამრეკლო, სადაც გაიმართა ქორწილი, თანამოსამსახურეების მიერ გადაჭდობილი ხმლების დერეფნის გავლით დატოვეს. ერთ-ერთი მათგანით კი, რომელიც ჰოლს გამოსაშვებ საღამოზე პაპა-ბებიამ აჩუქეს, საქორწილო ტორტი გაჭრეს, ხოლო თავიანთი პირველი ცეკვა ახლად დაქორწინებულებმა ედიტ პიაფის სიმღერის ფონზე შეასრულეს.

ორივე გეისამხედრო შვეულმფრენ „აპაჩების" პილოტებად მსახურობს ტეხასის სამხედრო ბაზაზე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროგრამა

ოთხშაბათი 24 იანვარი

07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია."კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00, 02.24 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.15, 21.30 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 13.00 დოკ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 13.25, 20.00 ტ/სერ. "**ელემენტარული**" 14.30 დოკ/ფ "ჯანმრთელობა-მუდამ კარგ ფორმაში" 15.30, 06.38 დოკ/ფ 16.30, 05.11 ტ/სერ. "**ადვოკატები**" 18.30 დოკ/ფ "გონების თამაშები" 22.15 ტ/სერ. "**განქორწინების სახელმძღვანელო ქალებისთვის**" 23.15 დოკ/ფ "თოფგიარი" 00.20 მხ/ფ "**ფილადელფია**" (დ.ვაშინგტონი) 03.26 მხ/ფ "**მერი რაილი**"

06.30, 18.50, 19.03 სერ. "**დასაწყისი**" 8-9 სერ. 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.20 ქრონიკა 10.15, 11.20 სერ. "**ელიფი**" 12.30 იმედის დღე 14.40, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 17.45 სერ. "**ცოდვილი**" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**ფავორიტი**" 3 სერ. 22.00 პრაიმ შოუ 23.30 სერ. "**სიყვარულისთვის**" 8 სერ. 01.00 მხ/ფ "**მოგონებები**" 02.30 მხ/ფ "**მებრძოლი**" 04.50 მხ/ფ "**ზულუ**"

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" 07.00, 20.03 სერ. "**დიდი ოჯახი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ბედის ანაბარა**" 15.40 სერ. "**მზიანი დღეები**" 16.55 სერ. "**ოთხი ისტორია**" 18.50 სერ. "მეორე შანსი" 22.00 მხ/ფ "**მაიტა ნასოსი**" 00.00, 01.00, 02.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი

tv პირველი

7.50 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**რამონზე შეყვარებული**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS 14.00, 16.00 ლევან ჩხაიძის დღის ამბები 15.00 22.45, საქმის კურსი 17.50, 0.00, 2.00, 4.00 მხ/ფ 20.00 პოლიტმეტრი 23.30 სერ. "**დამალული სიმართლე**" 6.00 ქალების ნარატივი

GDS

08.00 ან/ფ "ატომი" 09.00 სერ. "**ერთხელ ზღაპარში**" 10.00 სერ. "**ერთხელ ზღაპარში 2**" 12.00, 21.00 სერ. "**ელ პრინსიპე**" 13.00 სერ. "**კრიმინალური აზროვნება 8**" 17.00 სერ. "**ქუანტიკო-2**" 19.00 სერ. "**ჯაშუში 3**" 22.30 სერ. "**მისტერ რობოტი**" 23.30 სერ. "**მისტერ რობოტი-2**" 02.30 მხ/ფ "**მატრიცა-გადატვირთვა**" 05.00 მხ/ფ "**მატრიცა-რევოლუცია**"

იბერია

08.00 ანანდა 08.10 ანიმაცია 08.30 სერ. "**ბანდოლერა**" 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, 01.30 ახალი ამბები 12.00 სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" 13.30, 17.30 ახალი ამბები არჩილ გამზარდიათან ერთად 14.30 ექიმის საათი 15.00, 02.00 მოდი გავეყაროთ 16.00, 3.00 ფაბრიკა 19.55 მე რომ ვიყო 20.00 დე ფაქტო 21.00 სერ. " **პირადი საქმე**" 22.00 სერ. " **ჯადოსნური ამბავი**" 23.00 ინტერვიუ ვანიჩკასთან 00.00 სერ. " **ვალანდერი**"

06.10 დ/ფ "ველური ბუნება" 06.30 მხ/ფ "**ადამიანთა სევდა**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 საგალობელი 08.30 "განთიადი" 10.00 ფოტოგალერეა 10.15 ეთნოგრაფიული ჩანახატი 10.30 მხ/ფ "**ისინი ჩამოვიდნენ მთიდან**" 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ/ფ "**ამაღლება**" 13.30 კონცერტი - ვიოლინოსა და ორკესტრისათვის"ფელიქს ღლონტი 15.05 დ/ფ "გზა" II ნაწ. 16.00 კონცერტი - ანს. **კელაპტარი**" 17.10 დ/ფ "ჭებ სამშობლო" 18.10 კონცერტი - პაკო დე ლუსია 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.25 "განთიადი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ძილი ნებისა 21.30 ეპოქის სახელები 22.25 დ/ფ "თეძმის ხეობა" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ. მხ/ფ "**მიხა**" 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.15 მხ/ფ "**კუკარაჩა**" 01.40 კონცერტი - ჰერბერტ ფონ კარაიანი 03.20 მხ/ფ "**კასაბლანკა**"

მაესტრო 10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


24 იანვრისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.534

ევრო — 3.1067

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5235

100 რუსული რუბლი — 4.4789

**ამინდის პროგნოზი 24 იანვრისთვის**








**9 იანვრიდან**

ავთანდილ ბუხრაშვილის

**ქალი ჩანთაში**

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**


## რაფაელ ნადალი მარინ ჩილიჩთან დამარცხდა



ავსტრალიის ღია პირველობას კიდევ ერთი ფავორიტი გამოეთიშა. ამჯერად რაფაელ ნადალმა განიცადა მარცხი ხორვატ ჩოგბურთელ მარინ ჩილიჩთან.

ნადალმა მე-5 სეტში ტრავმა მიიღო, რის შემდეგაც მან თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

4 სეტი დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა, თუმცა მეოთხე სეტის ბოლოს ნადალს უკვე დაეტყო დაღლილობა და ძველმა ტრავმამაც ესპანელ ჩოგბურთელს თავი შეახსენა.

ჩილიჩი ნახევარფინალში ბრიტანელ კაილ ედმუნდს დაუპირისპირდება, რომელმაც მესამე წრეში ნიკოლოზ ბასილაშვილი დაამარცხა და იმის შემდეგ კიდევ ორი შეხვედრა მოიგო.

## კლოპმა სუონსისთან უკვე მესამედ წააგო



ლივერპულმა სუონსისთან უკვე მესამედ წააგო მას შემდეგ, რაც იურგენ კლოპი ლივერპულის მწვრთნელი გახდა. ამდენი წაგება კლოპს პრემიერ ლიგის არცერთ გუნდთან არა აქვს და ყველაზე უცნაური ის არის, რომ სუონსი სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე იმყოფება. ასე იყო შარშანაც, როდესაც სუონსიმ ლივერპული მაშინ დაამარცხა, როდესაც ბოლო ადგილს იკავებდა, თან მაშინ ეს ლივერპულში მოხდა.

ამჯერად კლოპის გუნდმა 0:1 წააგო და საკმაოდ მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა. ლივერპული მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას, მაგრამ სუონსიმ გოლის გატანის საშუალება არ მისცა.

## ლუკას მოურას პსჟ-დან წასვლა სურს

პსჟ-ს ბრაზილიელ ფეხბურთელ ლუკას მოურას გუნდის დატოვება სურს, რადგან მას პსჟ-ში საერთოდ არ ათამაშებენ. რამდენიმე წლის წინ მოურა პარიზული გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო, მაგრამ მას შემდეგ პსჟ-მ უამრავი ძლიერი ფეხბურთელი იყიდა და მოურამაც ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა.

— მინდა, გუნდი შევიცვალო, თუმცა კონკრეტულად არ ვიცი, ეს როგორ მოხდება. მომწონს ესპანეთის ჩემპიონატი და იქ თამაში ჩემთვის დიდი ბედნიერება იქნება, — განაცხადა ლუკას მოურამ.

ლუკას მოურა პსჟ-ს, სავარაუდოდ, ზაფხულში დატოვებს.

## ინტერი დანიელ სტარიჯის ყიდვას აპირებს




მილანის ინტერი ახლოს არის დანიელ სტარიჯის ყიდვასთან, რომელსაც ლივერპულიდან წასვლა სურს. სტარიჯი იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში და ამის გამო ის არ არის წინააღმდეგი, ბედი სხვა გუნდში ცადოს.

ჯერჯერობით უცნობია, რა თანხის გადახდას აპირებს ინტერი ამ ტრანსფერში, თუმცა სავარაუდო ფასი 20 მილიონი ევროა.

სტარიჯი ლივერპულში 2013 წელს მივიდა და რამდენიმე წლის განმავლობაში გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი



საღამოს მამა იცვამს და წასასვლელად ემზადება. პატარა გოგონა ეკითხება:

— მამიკო, სად მიდიხარ?

— მორჩა, თქვენგან მივდივარ.

— მერე, შენი ბარგი რატომ არ მიგაქვს.

•••

ბავშვები საუბრობენ. ბიჭი გოგოს ეუბნება:

— მე შენ მიყვარხარ!

— როგორც დიდებს?

— არა, ნამდვილად მიყვარხარ.

•••

ორი დიდი ხნის უნახავი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

— გამარჯობა, დიდი ხანია არ შევხვედრილვართ, როგორაა შენი ჯანმრთელობის საქმე?

— გაინტერესებს?

— რა თქმა უნდა.

— მაშინ ანალიზებიდან დავიწყებ...

•••

გოგონამ შეყვარებულს საავადმყოფოში მიაკითხა. მისი პალატის კართან თეთრხალათიანი ქალი შენიშნა და ეკითხება:

— ავადმყოფის ნახვა შეიძლება?

— და თქვენ ვინ ხართ მისთვის?

— და ვარ.

— სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, მე მისი დედა ვარ.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— ვეგეტარიანელები რა ხალხია?

— სულელები არიან, ფიქრობენ, რომ ძეხვი ხორცისგანაა გაკეთებული.

•••

სამსახურში, სადაც უმეტესობა ქალები იყვნენ, ჩხუბი ატყდა, რომელშიც ყველა ქალი ჩაება. მათი შეჩერება უფროსმა ცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა, ბოლოს, მოთმინებიდან გამოსულმა, დაიყვირა:

— ილაპარაკოს იმან, რომელიც ყველაზე მახინჯია!

ოფისში სიჩუმემ დაისადგურა.

•••

ვატსონი შერლოკ ჰოლმსს ეკითხება:

— მართლა ნახეთ ბასკერვილების ძაღლი?

ჰოლმსმა თავისი ჩიბუხი გაუწოდა და ეუბნება:

— აჰა, მოსწიეთ და ისეთ რამეებს ნახავთ...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


**16 იანვრიდან**

ალექსანდრე იასაღაშვილი



**„მგლის ბილიკი“**

ქართული დეტექტივი ტომი 1

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

**19 იანვრიდან**

ალექსანდრე იასაღაშვილი



**შავი ვარდი**

ქართული დეტექტივი ტომი 2

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

**23 იანვრიდან**

იორამ ჩადუნელი



**საზღაური**

ქართული დეტექტივი ტომი 3

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

**26 იანვრიდან**

რომან გვენცაძე



**საბედისწერო გასროლა**

ქართული დეტექტივი, ტომი 4

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

**30 იანვრიდან**

ჯემალ ჩახავა



**ქურდები და არიფები**

ქართული დეტექტივი, ტომი 5

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**


## დემნა გვასალიას ფეხსაცმელი ყველაზე მოთხოვნადია




ბალენსიაგას შემოქმედებითი ხელმძღვანელი დემნა გვასალია თავისი შექმნილი სამოსით, ფეხსაცმლითა და აქსესუარებით კვლავ აოცებს მსოფლიოს.

ამჯერად დემნამ 90-იან წლებში ყველაზე მოდური თმის სამაგრები გამოუშვა, რომელთა ღირებულებაც 225 დოლარია. დემნა გვასალიამ ტრადიციული ნაჭრის თმის სამაგრი ტყავით შეცვალა და სოლიდურ ფასადაც ყიდის.



თმის სამაგრების გარდა, მოდის სიახლეების მოყვარულებში არანაკლებ პოპულარულია მისი ფეხსაცმელები. ამ თემაზე დემნას ვოგის კრიტიკის ხელმძღვანელიც კი ესაუბრა:




**დემნა გვასალია:**

— მუდმივად გაოცებული ვარ, რამდენი ადამიანი მაჩერებს და მეკითხება: „საიდან გაქვს ესენი?“ მე ყოველთვის ის მაცვია, რაც გაყიდვაში არ გამოსულა. ახალგაზრდა ბიჭები, უფროსი ბიჭები პარიზში, ნიუ იორკში, კაცები ციურიხის ქუჩებში. არ იციან, ვინ ვარ, მაგრამ ჩემს ბალენსიაგას ფეხსაცმელს ცნობენ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. ძველი ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 2. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 3. ციმბირული ირემი; 5. უნგრეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. რაიმეს ზედაპირის ფართობის ერთეულზე მოქმედი ძალა; 7. ფრანგი დრამატურგი, კომედიოგრაფი; 11. მონასტერი ადიგენის რაიონში; 13. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 14. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი გარეული თხა; 15. არქიტექტურულად გაფორმებული შენობის მთავარი შესასვლელი; 16. ვირის ნაშიერი, ჩოჩორი; 17. დენის ძალის საზომი ერთეული; 19. სირიის პრეზიდენტი; 20. ხორბლის ქართული ჯიში.

**თარაზულად**: 1. მიწაში ბინადარი მღრღნელი ცხოველი; 4. პლასტიკური და რიტმული მოძრაობების ხელოვნება; 8. საკათედრო ტაძარი თბილისში; 9. პატარა კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 10. ტკბილეული, დესერტი; 12. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 14. მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 15. ჩინური დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 16. წლიური ფულადი გადასახადი კომლზე ძველად საქართველოში; 18. ჩეხური საავტომობილო კომპანია; 21. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საბერძნეთში; 22. უძველესი ქართული სამეფო; 23. ინდოეთის ოკეანისპირა პოპულარული კურორტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*